ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

სამშაბათი, 2 აპრილი, 1946 წ. № 67 (7540). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში:

რკინიგზის ტრანსპორტი სახალხო მეურნეობის განვითარების მძლავრი ბერკეტია. „პრავდის" მოწინავე (1-ლი გვერდი).
სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში (1-ლი გვერდი).
ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა (1-ლი გვერდი).
საბჭოთა მეცნიერები დაბრუნდნენ საერთაშორისო ასტრონომიული თათბირიდან (1-ლი გვერდი).
ბულგარეთის მთავრობის შედგენისათვის (მე-2 გვერდი).
გავაუმჯობესოთ სალექციო მუშაობა. (მე-2 გვერდი).
საუბარი მეცნიერებისა და ტექნიკის საკითხებზე. ატომური ენერგია (მე-3 გვერდი).
„ინსპექტორი მოვიდა" (მე-3 გვერდი).
უცხოეთის ამბები. დეპეშები (მე-4 გვერდი).

რკინიგზის ტრანსპორტი სახალხო მეურნეობის განვითარების მძლავრი ბერკეტია

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების 1946-1950 წლების ხუთწლიანი გეგმა უპირველეს ამოცანად ითვალისწინებს—გადიდდეს სამრეწველო პროდუქციის წარმოება ომამდელ დონესთან შედარებით თითქმის ერთნახევარჯერ და უზრუნველყოფილ იქნას, **რომ პირველ რიგში აღდგენილ იქნას და განვითარდეს მძიმე მრეწველობა და რკინიგზის ტრანსპორტი** — მთელი სახალხო მეურნეობის სწრაფი და წარმატებითი აღდგენისა და შემდგომი განვითარების ეს გადამწყვეტი ფაქტორები.

რკინიგზის ტრანსპორტს ეძლევა კაპიტალდაბანდებანი 40,1 მილიარდი მანეთის ოდენობით, რაც შეადგენს სახალხო მეურნეობის მთელ კაპიტალდაბანდებათა ერთ მეექვსედს, რომლებიც გათვალისწინებულია ხუთწლიანი გეგმით. ასიგნობათა ეს უდიდესი თანხა წარმოადგენს იმ რაიონების რკინიგზის მეურნეობის კაპიტალური აღდგენის მატერიალურ საფუძველს, რომლებმაც გერმანული ოკუპაცია განიცადეს, ახალი რკინიგზის მაგისტრალების ფართო მშენებლობის, უმნიშვნელოვანეს მიმართულებებზე გამტარუნარიანობის რეზერვის შექმნის საფუძველს, ტრანსპორტის ტექნიკური ხელახალი შეიარაღების საფუძველს.

საბჭოთა წარმოება ტრანსპორტს მისცემს ექვსი ათასზე მეტ ახალ ორთქლმავალს, მრავალ ასეულ ელმავალს და თბომავალს, თითქმის ნახევარ მილიონ სატვირთო ვაგონს. გაყვანილ იქნება 7.230 კილომეტრი რკინიგზის ხაზი, აღდგენილ და გაყვანილ იქნება 12.500 კილომეტრი მეორე ლიანდაგი, 5.325 კილომეტრი რკინიგზა ელექტროფიცირებულ იქნება.

ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს აგრეთვე ვაგონების ბრუნვის მნიშვნელოვან დაჩქარებას შორი მიმოზიდვის შემცირებით, არარაციონალური მიმოზიდვის აცილებით და რკინიგზებსა და სამრეწველო საწარმოთა მისასვლელ გზებზე მოძრავი შემადგენლობის დიდი მოცდენის ლიკვიდაციით.

მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განუხრელი ზრდა მოითხოვს ყველა სახის ტრანსპორტზე ტვირთბრუნვის მნიშვნელოვან გადიდებას. 1950 წელს მთელი ტვირთბრუნვა 36 პროცენტით გადააჭარბებს ომამდელ დონეს და შეადგენს 657,5 მილიარდ ტონა-კილომეტრს, ამასთან 532 მილიარდი მოდის რკინიგზის ტრანსპორტის წილად. ასეთი დავალების შესასრულებლად რკინიგზელებმა 115 ათას ვაგონამდე უნდა აიყვანონ საშუალო სადღეღამისო დატვირთვა.

ასეთია რკინიგზის ტრანსპორტის— მთელი სახალხო მეურნეობის შემდგომი ზრდის უმნიშვნელოვანესი ბერკეტის აღდგენისა და განვითარების პერსპექტივები და ტემპები, რკინიგზის ტრანსპორტისა, რომელმაც უნდა უზრუნველჰყოს ჩვენი ქვეყნის საწარმოო ძალების შემდგომი განვითარების გაქანება.

ტრანსპორტი ერთ მთელად აკავშირებს საბჭოთა სახელმწიფოს მრავალ ოლქსა და რაიონს, მის ზუსტ მუშაობაზე ბევრად არის დამოკიდებული მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ყველა დარგის განვითარება, საქონელბრუნვის განვითარება, საბჭოთა ადამიანების ცხოვრების დონის ამაღლება. ტრანსპორტი აწვდის მრეწველობას ნედლეულსა და სათბობს, სოფლის მეურნეობას—თესლეულს, საწვავს. მანქანებს და სასუქს, გადააქვს მზა პროდუქცია.

მრეწველობა განუწყვეტლივ ადიდებს და კვლავაც გაადიდებს ფართო მოხმარების საქონლის გამოშვებას, ხოლო სოფლის მეურნეობა კვების პროდუქტების გამოშვებას. უახლოეს ხანში გაუქმდება საბარათო სისტემა, მნიშვნელოვნად გაიზრდება საბჭოთა ვაჭრობა. ამ პერსპექტივის მიხედვით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ამხანაგ სტალინის მითითებას, რომელიც მან ჯერ კიდევ პარტიის XVII ყრილობაზე გააკეთა:

„თუ ჩვენი ეკონომიკის განვითარება იბჯინება საქონელბრუნვის განვითარებას, საბჭოთა ვაჭრობის განვითარებას, სამაგიეროდ საბჭოთა ვაჭრობის განვითარება თავისი მხრით იბჯინება ჩვენი ტრანსპორტის... განვითარებას. შეიძლება ისე მოხდეს ხოლმე, რომ საქონელი არის, არის საქონელბრუნვის გაშლის სრული შესაძლებლობა, მაგრამ ტრანსპორტი ვერ მისდევს ფეხდაფეხ საქონელბრუნვის განვითარებას და უარს ამბობს ტვირთის გადაზიდვაზე".

კომუნისტური პარტია, საბჭოთა მთავრობა, პირადად ამხანაგი სტალინი მუდამ იჩენდნენ და ახლაც იჩენენ განსაკუთრებულ ზრუნვას რკინიგზის ტრანსპორტისათვის, ვინაიდან „სსრ კავშირი, როგორც სახელმწიფო, წარმოუდგენელი იქნებოდა პირველხარისხოვანი სარკინიგზო ტრანსპორტის გარეშე, რომელიც ერთ მთლიან ერთეულად აკავშირებს მის მრავალ ოლქსა და რაიონს". (სტალინი). სახალხო მეურნეობის განუხრელი ზრდის უმნიშვნელოვანესი ბერკეტის როლი რომ შეასრულოს, ამისათვის ტრანსპორტი ისეთი ტემპით უნდა ვითარდებოდეს, რომ უზრუნველყოფილ იქნას მთელი ჩვენი ეკონომიკის მზარდი მოთხოვნილებანი.

ტრანსპორტის განვითარებაში უდიდესი როლი ეკუთვნის ჩვენს მრეწველობას. კერძოდ მან სწრაფად უნდა მიაწოდოს ტრანსპორტს რელსები, ორთქლმავლები, ვაგონები, ლითონის ფერმები ხიდებისათვის, ხე-ტყე, ცემენტი, მინა, გააუმჯობესოს ლოკომოტივებისათვის საჭირო სათბობის ხარისხი, გააუმჯობესოს თავისი საწარმოთა მისასვლელი გზები, რათა არ დაირღვეს გზების რიტმული მუშაობა.

ტრანსპორტის წინაშე მდგომი ამოცანები შეიძლება წარმატებით გადაიჭრას, თუ რკინიგზები აღჭურვილი იქნებიან მოწინავე ტექნიკით, ფართოდ განვითარდება მეცნიერულ-კვლევითი აზრი, უფრო გაბედულად დაინერგება თანამედროვე მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევები რკინიგზის კონვეიერის ყველა რგოლში. გზათა სამინისტრომ ტრანსპორტის დარგში მომუშავე მეცნიერებს უნდა შეუქმნას ყველა პირობა მათი საქმიანობის ნაყოფიერი განვითარებისათვის. რკინიგზელი მეცნიერები მხარდამხარ უნდა მიჰყვებოდნენ ჩვენი ქვეყნის მოწინავე სამეცნიერო კოლექტივებს.

რკინიგზებმა საკმაოდ კარგად დაიწყეს ომისშემდგომი პირველი წელი. მათ შეასრულეს დატვირთვის კვარტალური გეგმა. განსაკუთრებით მტკიცედ მუშაობდნენ ისეთი გზები, როგორიც არიან სამხრეთ დონეცის, სტალინის, ამიერკავკასიის, ზღვისპირეთის, კალინინის, ოქტომბრის, ლატვიის, ესტონეთის გზები. ამოცანა ის არის, რომ ყოველი გზა, ყოველი განყოფილება თვე და თვე, დღე და დღე ასრულებდეს მიმოზიდვის სახელმწიფო გეგმებს, რომ გაზაფხულის უგზოობის რთულ პირობებში მთელი ტრანსპორტი ერთად აღებული და თვითეული ცალკე უბანი ზუსტად და შეუფერხებლად მუშაობდეს.

რკინიგზელები ბევრს და დაძაბულად მუშაობენ გერმანელი ოკუპანტების მიერ დანგრეული თავიანთი მეურნეობის აღსადგენად. ამ საქმეში წარმატება მოპოვებულია. ტრანსპორტი ისე გამოვიდა ომიდან, რომ შეინარჩუნა უნარი მშვიდობიანი დროის პირობებშიც შეასრულოს სახელმწიფო დავალებანი მიმოზიდვის დარგში. მაგრამ ჯერ კიდევ ყველაფერი როდია გაკეთებული. ტრანსპორტს დიდი შინაგანი რეზერვები მოეპოვება, საჭიროა მხოლოდ ავამოქმედოთ, რაც შეიძლება უფრო სრულად გამოვიყენოთ ეს რეზერვები. ამაში უდიდესი როლი ეკუთვნის საოლქო და საქალაქო პარტიულ ორგანიზაციებს, რომლებიც მოვალენი არიან მუდამ ეხმარებოდნენ რკინიგზელებს.

საბჭოთა რკინიგზელები, რომლებმაც დაამტკიცეს თავიანთი უსაზღვრო ერთგულება სამშობლოსადმი ომიანობის წლებში და რომლებიც ამჟამად აღფრთოვანებული არიან ახალი სტალინური ხუთწლედის გეგმით, ყოველ ღონეს იხმარებენ, რათა ტრანსპორტმა კიდევ უფრო კარგად იმუშაოს, რათა მან პირნათლად შეასრულოს თავისი საპატიო და პასუხსაგები როლი ჩვენი დიდი ბელადის ისტორიულ წინასწარდასახულობათა განხორციელებაში, ჩვენი სამშობლოს სახალხო მეურნეობის აღდგენისა და შემდგომი განვითარების საყოველთაოსახალხო საქმეში.

„პრავდის" 31/III მოწინავე

ბაქოში დაიწყო მსხვილგაბარიტიანი ბურთობსაკისრის ქარხნის მშენებლობა

ბაქო, 1 აპრილი. (საქდესი). ბაქოში არსებული ბურთობსაკისრის ქარხნის ბაზაზე შენდება ახალი სპეციალიზებული ქარხანა სსრ კავშირის ნავთის მრეწველობისათვის მსხვილგაბარიტიანი ბურთობსაკისრის დასამზადებლად. ამჟამად აშენებენ ორი კორპუსის კედლებს. მაისში ამუშავდება სამჭედლო და მექანიკურ-სამწყობო საამქროები. მესამე კვარტალში ქარხანა მუშაობას დაიწყებს სრული სიმძლავრით.

ახალი ქარხანა მოეწყობა ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით. მუშაობა ნაკადური მეთოდით იწარმოებს. დეტალების დასამუშავებლად იდგმება სახარატო ავტომატები. 4-5-ჯერ გადიდდება შრომის ნაყოფიერება დეტალების ხეხვის დარგში ახალი სახეხი დაზგების გამოყენების მეოხებით. დეტალების გადატანა იწარმოებს ავტოკარებით.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დანიშნა:

37) სამშენებლო მასალების მრეწველობის სამინისტროში — მინისტრის მოადგილეებად: ი. დ. მიტრაკოვი (საერთო საკითხებზე), ლ. ა. სოსნინი, გ. ს. ივანოვი, ი. პ. გვოზდარევი, დ. ს. სემიონოვი, მ. გ. ინკოვი, დ. ნ. პოტანინი.

38) ელექტროსადგურთა სამინისტროში — მინისტრის მოადგილეებად: ი. პ. კარასევი (საერთო საკითხებზე), მ. ს. სმირნოვი, ა. ი. დრობიშევი, ი. ი. დმიტრიევი, ა. ფ. ბაუსინი, ი. ი. უგარეცი, ქ. გ. ხარიტონოვი.

39) სატრანსპორტო მანქანათმშენებლობის სამინისტროში — მინისტრის მოადგილეებად: ი. ე. მაქსარევი (საერთო საკითხებზე), ს. ა. სტეპანოვი, პ. მ. ზერნოვი, ი. ა. ლებედევი, მ. ნ. პოპოვი, დ. ე. კოჩეტკოვი, ა. ი. მოსინი, ნ. ვ. ქერეხოვი, ი. ა. ნაზაროვი.

40) სამხედრო და სამხედრო-საზღვაო საწარმოთა მშენებლობის სამინისტროში — მინისტრის მოადგილეებად: ნ. ა. დიგაი (საერთო საკითხებზე), ი. ვ. კომზინი, გ. პ. კოსოლაპოვი, გ. პ. კომაროვი, ნ. ვ. ბეხტინი, ი. ა. ლევინი, ა. ნ. პროკოფიევი.

41) მეცხოველეობის სამინისტროში — მინისტრის მოადგილეებად: ე. მ. ჩეკმენევი (საერთო საკითხებზე), ფ. ს. კრესტიანინოვი, პ. ქ. გერასიმოვი, ი. პ. ქიროვი, ბ. ნ. ბოგდანოვი, ვ. პ. სტოლპნიკი, ნ. ვ. ივჩენკო.

აზერბაიჯანის სსრ სახალხო კომისართა საბჭოს გარდაქმნა მინისტრთა საბჭოდ

ბაქო, 1 აპრილი. (საქდესი). აზერბაიჯანის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით აზერბაიჯანის სსრ სახალხო კომისართა საბჭო გარდაიქმნა აზერბაიჯანის სსრ მინისტრთა საბჭოდ, ხოლო რესპუბლიკის სახალხო კომისარიატები — აზერბაიჯანის სსრ სამინისტროებად.

ამავე დროს ნახჭევანის ავტონომიური რესპუბლიკის სახკომსაბჭო გარდაქმნილია ნახჭევანის ასსრ მინისტრთა საბჭოდ და ნახჭევანის ასსრ სახალხო კომისარიატები—ნახჭევანის ასსრ სამინისტროებად.

ტაჯიკეთის სსრ სახალხო კომისართა საბჭოს გარდაქმნა მინისტრთა საბჭოდ

სტალინაბადი, 1 აპრილი. (საქდესი). ტაჯიკეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ტაჯიკეთის სსრ სახალხო კომისართა საბჭო გარდაქმნილია ტაჯიკეთის სსრ მინისტრთა საბჭოდ, ტაჯიკეთის სსრ სახალხო კომისარიატები—ტაჯიკეთის სსრ სამინისტროებად.

საბჭოთა მეცნიერები დაბრუნდნენ საერთაშორისო ასტრონომიული თათბირიდან

მოსკოვს დაბრუნდა საბჭოთა დელეგაცია, რომელიც მონაწილეობას იღებდა საერთაშორისო ასტრონომიულ თათბირში კოპენჰაგენში.

თათბირის მონაწილემ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ასტრონომიული საბჭოს თავმჯდომარემ, მეცნიერებათა აკადემიის წევრმა-კორესპონდენტმა ა. ა. მიხაილოვმა საქდესის კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა:

— საერთაშორისო ასტრონომიულმა თათბირმა მოისმინა ამერიკის შეერთებული შტატების, საფრანგეთის, ჰოლანდიისა და შვეციის მეცნიერთა მოხსენებანი ვარსკვლავთშორისი სივრცის ნივთიერების შესახებ. შემდეგ მუშაობა დაიწყეს კომისიებმა, სადაც განხილულ იქნა ცვალებად ვარსკვლავთა და მცირე პლანეტთა შესწავლის მხრივ ასტრონომთა საერთაშორისო კავშირის მუშაობაში საბჭოთა ასტრონომიული დაწესებულებების მონაწილეობის საკითხი. ამის შედეგად გადაწყდა მიენდოს შტერნბერგის სახელობის სახელმწიფო ასტრონომიულ ინსტიტუტსა და სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის თეორიული ასტრონომიის ინსტიტუტს ძირითადი სამუშაო ამ პრობლემათა გამოსაკვლევად.

საერთაშორისო ასტრონომიული კავშირის აღმასრულებელ კომიტეტს ორჯერ ჰქონდა სხდომა. მან შეავსო ასტრონომიის სხვადასხვა პრობლემათა შემსწავლელი კომისიების შემადგენლობა. ამ კომისიებში შევიდა 35 საბჭოთა მეცნიერი, მათ შორის—აკადემიკოსები გ. ა. შაინი და ვ. გ. ფესენკოვი, მეცნიერებათა აკადემიის წევრი-კორესპონდენტები ა. ა. მიხაილოვი, ვ. ა. ამბარცუმიანი, ა. ი. ორლოვი, ს. ვ. ორლოვი, ს. ნ. ბლაჟკო და მოსკოვის, ლენინგრადის, პულკოვოს, ტაშკენტისა და ყაზანის სხვა გამოჩენილი ასტრონომები. პირადად მე აღმასკომის შემადგენლობაში შევდივარ როგორც კავშირის ვიცე-პრეზიდენტი. აკადემიკოსი ფესენკოვი მსოფლიოს ოთხ ასტრონომთა შორის შეყვანილია იონოსფეროს კომისიის შემადგენლობაში.

ყოველივე ეს უეჭველად მოწმობს საბჭოთა ასტრონომების უდიდეს მიღწევათა აღიარებას. ჩვენ, მათი წარმომადგენლები, საერთაშორისო თათბირზე უაღრესად გულთბილად მიგვიღეს.

თათბირის მონაწილეებმა გადასწყვიტეს 1948 წელს მოიწვიონ ასტრონომთა საერთაშორისო კავშირის ყრილობა. მოწვევის ადგილის განსაზღვრა დაევალა კავშირის აღმასკომს.

საბჭოთა მისიამ დანიაში საბჭოთა ასტრონომების პატივსაცემად დარბაზობა გამართა, სადაც ჩვენ კვლავ შევხვდით საერთაშორისო თათბირის მონაწილეთ და დანიის გამოჩენილ მეცნიერებს. (საქდესი).

კანონი ხუთწლიანი გეგმის შესახებ გამოიცა რუსულ და სომხურ ენებზე

ერევანი, 1 აპრილი. (საქდესი). სომხეთის სახელმწიფო გამომცემლობა სომხურ და რუსულ ენებზე ცალკე ბროშურებად უშვებს „კანონს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების 1946-1950 წლების ხუთწლიანი გეგმის შესახებ". გამოცემის ტირაჟია 40 ათასი ცალი.

მუშა-მებოსტნეთა ინტერესების დაცვა

მებოსტნეობის კამპანიის დაწყებასთან დაკავშირებით სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტრომ თავის ადგილობრივ ორგანოებს მითითებანი მისცა სასამართლო პასუხისგებაში იმ პირთა მიცემის წესის შესახებ, რომლებიც დამნაშავენი იქნებიან მუშა-მოსამსახურეთა ბოსტნებში წანახედისა და დატაცების მხრივ. ეს საქმეები სასამართლომ უნდა განიხილოს არა უგვიანეს ათი დღის ვადისა. წანახედისა და დატაცებისაგან ინდივიდუალურ და კოლექტიურ ბოსტნებში ზიანის ოდენობის განსაზღვრისას სასამართლოებმა უნდა იხელმძღვანელონ თესლეულის, კარტოფილის, ბოსტნეულისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ფასებით. ბოსტნებში დატაცების შესახებ საქმეების გამო განაჩენი დაუყოვნებლივ უნდა იქნას მოყვანილი სისრულეში როგორც დამნაშავეთა დასჯის ნაწილში, ისე მუშა-მოსამსახურეთათვის მიყენებული ზარალის ღირებულების გადახდევინების ნაწილში. (საქდესი).

მშიერი ველი აყვავებულ ოაზისად გადაიქცევა

ტაშკენტი, 1 აპრილი. (საქდესი). „მშიერი ველი" — ეს სახელწოდება დაკავშირებული იყო ნარით დაფარული უსაზღვრო სივრცეების, მოძრავი ქვიშის წარმოდგენასთან...

ახალი ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს მშიერი ველის გადაქცევას შუა აზიის ერთ-ერთ უმშვენიერეს ოაზისად. საბჭოთა პატრიოტები დაუღალავად შრომობენ ამ ამოცანის განსახორციელებლად.

მირზაჩულის რაიონის კოლმეურნეობებმა უკანასკნელი 5-6 წლის განმავლობაში ბამბისათვის აითვისეს დაახლოებით 12 ათასი ჰექტარი. ამ მიწებზე მათ შარშან ჰექტარზე საშუალოდ 11,1 ცენტნერი ნედლი ბამბა მიიღეს.

კოლმეურნეები, რომლებიც მშიერი ველის ასათვისებლად რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონიდან და ოლქიდან გადასახლდნენ, უხვი მოსავლის მოწევასთან ერთად დიდ სამშენებლო სამუშაოს ასრულებენ. მახნატაბადის სოფლსაბჭოს სასოფლო-სამეურნეო არტელ „კზილ დეხკანის" წევრებმა დაბაში ააგეს კლუბი, სამკითხველოები, სკოლები, კოლმეურნეობის გამგეობის შენობა. სწორ ხაზებად არის ჩამწკრივებული აქ კოლმეურნეთა ევროპული ტიპის სახლები. შენდება ჰიდროელექტროსადგური.

მშიერი ველის ბამბის მუშაკები დიდი კმაყოფილებით შეხვდნენ უზბეკეთში მებამბეობის განვითარების სტალინურ პროგრამას. მირზაჩულის რაიონის კოლმეურნეებმა წელს უნდა დასთესონ 13 ათასი ჰექტარი ბამბა და ჰექტარზე 14,6 ცენტნერი ბამბა უნდა მიიღონ. ბევრმა ბრიგადამ და რგოლმა იკისრა ვალდებულება ჰექტარზე 50-60 ცენტნერი ბამბა მიიღოს. თესვა წინ უსწრებდა ნიადაგის გულდასმით დამუშავება. მიწა ორჯერ არის მოხნული, შეტანილია ორჯერ მეტი სასუქი, ვიდრე გასულ წელს. წესრიგში მოჰყავთ სარწყავი სისტემა.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მრავალშვილიანი დედების „სახელოვანი დედის" ორდენებითა და „დედობის მედლის" მედლებით დაჯილდოების შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წ. 18 აგვისტოს ბრძანებულების საფუძველზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით დაჯილდოვდნენ:

დედები, რომლებმაც შობეს და აღზარდეს ცხრა შვილი „სახელოვანი დედის" I ხარისხის ორდენით

1. **მეგრელიშვილი** ხანა ელიაუს-ასული—დიასახლისი, ქალაქი ქუთაისი;
2. **აგბალიანი** ვართანუშ გრიგოლის-ასული—დიასახლისი, დაბა შაუმიანი, ბორჩალოს რაიონი;
3. **პოპოვა** ნინო ანტონის-ასული—დიასახლისი, ქალაქი ქუთაისი;
4. **ფიჩხაძე** ხანა მოშეს-ასული—დიასახლისი, ქალაქი ქუთაისი;

დედები, რომლებმაც შობეს და აღზარდეს რვა შვილი „სახელოვანი დედის" II ხარისხის ორდენით

1. **გიგაური** ანა ზაქარიას-ასული—დიასახლისი, ქალაქი ქუთაისი;
2. **გუგეშაშვილი** ანა მალაქიას-ასული — დიასახლისი, ქალაქი ქუთაისი;
3. **ბაირამოვა** აჯარ აჯი ყიზი—დიასახლისი, სოფელი ბორჩალო, ბორჩალოს რაიონი;
4. **ეთარ** მუსა ყიზი—ბორჩალოს რაიონის სოფელ ყიზილ აჯილოს კოლმეურნეობის წევრი;
5. **თავდიდიშვილი** აბესა მეერის-ასული — დიასახლისი, ქალაქი ქუთაისი;
6. **იობიძე** გალინა ამბაკოს-ასული—დიასახლისი, ქალაქი ქუთაისი;
7. **ირემაძე** ბაბილინა მიხეილის-ასული—დიასახლისი, ქალაქი ქუთაისი;
8. **ნიშნიანიძე** თამარ ნიკოლოზის-ასული — დიასახლისი, ქალაქი ქუთაისი.
9. **ფატმა** ჰუსეინ ყიზი—ბორჩალოს რაიონის სოფელ ყიზილ აჯილოს კოლმეურნეობის წევრი;
10. **ფერა** მაჰამედ ყიზი—ბორჩალოს რაიონის სოფელ აჰმამედლოს ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
11. **შარმაზანოვა** მარიამ ნიკოლოზის-ასული—ბორჩალოს რაიონის სოფელ ოპრეტის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

დედები, რომლებმაც შობეს და აღზარდეს შვიდი შვილი „სახელოვანი დედის" III ხარისხის ორდენით

1. **ბეხორაშვილი** ქაბატო იოსების-ასული — დიასახლისი, ქალაქი ქუთაისი;
2. **დოლაბერიძე** ვერა ზოსიმეს-ასული—დიასახლისი, ქალაქი ქუთაისი;
3. **გოლოვონენკო** პრასკოვია სტეფანეს-ასული—დიასახლისი, ქალაქი ქუთაისი;
4. **თავდიდიშვილი** მარიამ შაფათას-ასული — დიასახლისი, ქალაქი ქუთაისი;
5. **კიკვაძე** პელაგია ბომინას-ასული—დიასახლისი, ქალაქი ქუთაისი;
6. **მაღლაკელიძე** ეფროსინე ფარსადანის-ასული—დიასახლისი, ქალაქი ქუთაისი;
7. **მოშიაშვილი** ნინო ეფრემის-ასული—დიასახლისი, ქალაქი ქუთაისი;
8. **მოშიაშვილი** სიმხა იაკობის-ასული—დიასახლისი, ქალაქი ქუთაისი;
9. **ნარგიზ** ისმაილ ყიზი—ბორჩალოს რაიონის სოფელ სადახლოს კოლმეურნეობის წევრი;
10. **პარი** ხალილ ყიზი—ბორჩალოს რაიონის სოფელ სადახლოს კოლმეურნეობის წევრი;
11. **პარი** ისმაილ ყიზი—ბორჩალოს რაიონის სოფელ აჯი ისაკენდის 26 კომისრის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
12. **ტიკარაძე** ნადეჟდა დიმიტრის-ასული — დიასახლისი, ქალაქი ქუთაისი.
13. **ქორიძე** ფატმა სერაფიონის-ასული—დიასახლისი, ქალაქი ქუთაისი;
14. **ჯანაშვილი** აბედა იაკობის-ასული—დიასახლისი, ქალაქი ქუთაისი.

დედები, რომლებმაც შობეს და აღზარდეს ექვსი შვილი „დედობის მედლის" I ხარისხის მედლით

1. **ასატურიანი** ბარბარე მირონის-ასული — ბორჩალოს რაიონის სოფელ ხოჯორნის კოლმეურნეობის წევრი;
2. **ბაღდასარიანი** მარიამ აკოფის-ასული—დიასახლისი, სოფელი გულბაღი, ბორჩალოს რაიონი;
3. **ბუდაღოვა** გოზალ ისმაილ ყიზი—ბორჩალოს რაიონის სოფელ დიდი მუღანლოს კოლმეურნეობის წევრი;
4. **ბალაკოზოვა** პარი ნიმაზ ყიზი—ბორჩალოს რაიონის სოფელ კურთლიარის ილიჩის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
5. **ზაქარაშვილი** მინადორა დომენტის-ასული—დიასახლისი, ქალაქი ქუთაისი,
6. **მიხკარიანი** ეხსან ლევანის-ასული—ბორჩალოს რაიონის სოფელ გულბაღის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
7. **მასმა** ალი ყიზი—ბორჩალოს რაიონის სოფელ ყიზილ აჯილოს კოლმეურნეობის წევრი;
8. **უგლავა** ნინო ნიკოლოზის-ასული—დიასახლისი, ქალაქი ქუთაისი;
9. **ურინისა** სადიხ ყიზი—დიასახლისი, სოფელი ყიზილ აჯილო, ბორჩალოს რაიონი;
10. **სანდუხაძე** ნადეჟდა ალექსანდრეს-ასული—დიასახლისი, ქალაქი ქუთაისი;
11. **საალრიშვილი** ტატიანა გრიგოლის-ასული—დიასახლისი, ქალაქი ქუთაისი;
12. **ქაჯაია** მელანია გიორგის-ასული—დიასახლისი, ქალაქი ქუთაისი;
13. **ქეიშვილი** ოლღა პანტელეიმონის-ასული—დიასახლისი, ქალაქი ქუთაისი;
14. **ხოტეველი** ალექსანდრა (საშა) გაბრიელის-ასული—დიასახლისი, ქალაქი ქუთაისი;
15. **ჯანაშია** თეოლინა ივანეს-ასული—დიასახლისი, ქალაქი ქუთაისი.

დედები, რომლებმაც შობეს და აღზარდეს ხუთი შვილი „დედობის მედლის" II ხარისხის მედლით

1. **ბოლქვაძე** მარიამ ეფრემის-ასული—დიასახლისი, ქალაქი ქუთაისი;
2. **ბინიაშვილი** თამარ დანიელის-ასული — დიასახლისი, ქალაქი ქუთაისი,
3. **აფანდიევა** ფატმა ნასიბ ყიზი—ბორჩალოს რაიონის სოფელ კურთლიარის ილიჩის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
4. **ალახიაროვა** ფატმა ისმაილ ყიზი—ბორჩალოს რაიონის სოფელ კურთლიარის ილიჩის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
5. **ენუქიძე** ოლღა ანტონის-ასული—დიასახლისი, ქალაქი ქუთაისი;
6. **იოსელიანი** მარიამ ლაზარეს-ასული — დიასახლისი, ქალაქი ქუთაისი;
7. **ივანოვა** ნინო კონსტანტინეს-ასული — დიასახლისი, ქალაქი ქუთაისი;
8. **კაკაბაძე** დარია სერგის-ასული—დიასახლისი, ქალაქი ქუთაისი;
9. **გულისტან** მირზალ ყიზი — ბორჩალოს რაიონის სოფელ ლეჟბადინის კოლმეურნეობის წევრი;
10. **პატარიძე** მაკრინე საყვარელის-ასული — დიასახლისი, ქალაქი ქუთაისი;
11. **პარავიანი** არევ არშაკის-ასული—დიასახლისი, დაბა შაუმიანი, ბორჩალოს რაიონი;
12. **სადაგიანი** რუსიკ მოსესის-ასული—ბორჩალოს რაიონის სოფელ ბრდაზორის კოლმეურნეობის წევრი;
13. **ქუთათელაძე** თამარ თომას-ასული—დიასახლისი, ქალაქი ქუთაისი;
14. **შამილოვა** ბალახანიმ ალი ყიზი—ბორჩალოს რაიონის სოფელ ლეჟბადინის კოლმეურნეობის წევრი;
15. **ჩალგიზოვა** ავახანუმ შამილ ყიზი—ბორჩალოს რაიონის სოფელ კურთლიარის ილიჩის სახ. კოლმეურნეობის წევრი;
16. **ხეირანსა** მამედ ჰუსეინ ყიზი — ბორჩალოს რაიონის სოფელ დიდი მუღანლოს კოლმეურნეობის წევრი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. სტურუა
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. ეგნატაშვილი

1946 წ. 13 თებერვალი. ქ. თბილისი.

სტალინგრადის ქუჩებსა და სკვერებში

სტალინგრადი, 31 მარტი. (საქდესი). სტალინგრადის ქუჩებში და მოედნებზე, კარლ მარქსის სახელობის პარკში უკვე რამდენიმე დღეა დაძაბული მუშაობაა გაჩაღებული. ახალგაზრდობის ბრიგადები მიწით ავსებენ ავიაბომბებით და ყუმბარებით გათხრილ ორმოებს, სთხრიან ჩამხმარ ხეებს, აკეთებენ კვლებს, საყვავილეებს, ხეივნებს, კაპიტალურ ღობეებს. ასეთივე მუშაობა სწარმოებს ქალაქის სხვა შვიდ პარკშიც. ქუჩებსა და მოედნებს სწმენდენ ნაგვისაგან. 1.000-ზე მეტი მოხალისე მშენებელი არემონტებს ავტოსტრადას, რომელიც ქალაქზე გადის სატრაქტორო ქარხნიდან სარეპტის სადგურამდე.

„ბარიკადის", „კრასნი ოქტიაბრის", სატრაქტორო და სხვა ქარხნების მუშები არემონტებენ ტრამვაის პარკს, კომკავშირელები დასარგავად ამზადებენ 100 ათას ძირ ხეს. საბავშვო ბაღის აღსადგენად გამოვიდა ალექსანდრა მათეს-ასულ ჩერკასოვას ბრიგადაც.

დღეს ქუჩებში და მოედნებზე მრავალი სტალინგრადელი ახალგაზრდა მუშაობდა. მასობრივი კვირაობით იწყება ქალაქის კეთილმოწყობის ერთთვიური.

ასაწყობი სახლები ინდივიდუალურ მშენებელთათვის

სამშენებლო მასალათა მრეწველობის სამინისტროს პენზის, მორდვეთის და ულიანოვსკის სახლთმშენებელმა ქარხნებმა გამოუშვეს ასაწყობი საცხოვრებელი სახლების პირველი პარტია ინდივიდუალურ მშენებელთათვის. ყოველი სახლი შესდგება ორი ოთახის, სამზარეულოსა და ვერანდისაგან.

სახლებს გარედან შემოკრული აქვს ხის ტკეჩი, შიგნით კი დათბუნებულია მსუბუქი საიზოლაციო მასალებით — შეველონით და მინერალური ბამბით. სახლთან ერთად მშენებელი მიიღებს გეგმასა და ნახაზებს, რომელთა მიხედვითაც მას შეუძლია სახლის აწყობა სპეციალისტთა დაუხმარებლად.

წელს სამინისტროს სახლთმშენებელი ქარხნები გამოუშვებენ 500-ზე მეტ ინდივიდუალურ სახლს. სახლები განკუთვნილია მუშათა დაბების ასაგებად, კერძოდ გერმანელ ოკუპანტთაგან დაზარალებულ რაიონებში. (საქდესი).

ახალი მანქანები მეტალურგიულ ქარხნებს

ლენინგრადი, 1 აპრილი. (საქდესი). დღეს ნევის ლენინის სახელობის მანქანათმშენებელმა ქარხანამ დაამთავრა მძლავრი ეგლოექსჰაუსტერის დამზადება, რომლის ნაყოფიერებაც წუთში 3.500 კუბმეტრ ჰაერს უდრის. იგი განკუთვნილია მაგნიტოგორსკის მეტალურგიულ კომბინატში ჰაერის გასაუხვებლად. შედუღებული კორპუსის გამოყენებამ, ნაცვლად მთლიანად სხმულისა, შესაძლებელი გახადა მანქანის საერთო წონის 30 პროცენტით შემსუბუქება.

დაიწყო დამზადება კიდევ რამდენიმე მანქანისა ჩვენი ქვეყნის მეტალურგიული ქარხნებისათვის: ეგლოექსჰაუსტერისა — ნოვოტულსკის კომბინატისათვის, კოქსექსჰაუსტერისა — ჩელიაბინსკის ქარხნისათვის და წუთში 1.200 კუბმეტრ ჰაერის მძლავრი ჰაერსაბერავისა ალჩევსკის ქარხნის ბრძმედებისათვის დონბასში.

ბულგარეთის მთავრობის შედგენისათვის

სოფია, 29 მარტი. (საკდესი). დღეს პრესაში შემდეგი ოფიციალური ცნობა გამოქვეყნდა პრემიერ კიმონ გეორგიევის მოლაპარაკებასთან დაკავშირებით ახალი მთავრობის შედგენის შესახებ:

პრემიერის პირველი შეხვედრა ორი ოპოზიციური ჯგუფის წარმომადგენლებთან, როგორც ცნობილია, 24 მარტს მოხდა. პრემიერმა დასურათა ვითარება, რომელშიც მიიწვია ისინი ბულგარეთის მართვა-გამგეობაში სათანამშრომლოდ და ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეს თანამშრომლობა უნდა ხდებოდეს მოსკოვის გადაწყვეტილების ჩარჩოებში, რომელიც სხვადასხვა განმარტების მიუხედავად ძალაში რჩება სამამულო ფრონტისათვის, მისი იმ ოფიციალური ტექსტის თანახმად, რომელიც თავდაპირველად საბჭოთა მთავრობამ აცნობა სამი დიდი სახელმწიფოს სახელით და რომელიც აქ მთავრობის მიერ სათანადოდ იყო განმარტებული.

ამ გადაწყვეტილების თანახმად სამამულო ფრონტი მზად არის მიიღოს ორი ოპოზიციური ჯგუფის თითო ნამდვილი წარმომადგენელი — ლოიალური და მთავრობასთან ერთობლივი მუშაობისათვის შესაფერი წარმომადგენლები.

მეორე, პრემიერმა აღნიშნა, რომ ახლანდელი სახალხო კრება სავსებით კანონიერად და სწორად არის არჩეული და შეუძლებელია დავუშვათ, რომ იგი განმარტებულ იქნას მისი კანონიერი ხასიათის რაიმე უარყოფის ნიშნით. მეორე მხრივ, მთელ რიგ მიზეზთა გამო, განსაკუთრებით იმის გამო, რომ უახლოეს თვეებში უნდა შესდგეს საზავო კონფერენცია ბულგარეთთან ზავის პირობების განსახილველად, ჩვენ ამჟამად არ შეგვეძლო დაუყოვნებლივ დაგვეწყო ახალი არჩევნები. მაგრამ საკითხის დადებითი გადაჭრის გასაადვილებლად და იმისათვის, რომ ოპოზიციას საშუალება მიეცეს წარმოდგენილ იქნას პარლამენტში, სამამულო ფრონტი მზად არის დათანხმდეს, რომ დიდი სახალხო კრებისა და ჩვეულებრივი სახალხო კრების არჩევნები ერთდროულად მოხდეს შედარებით ახლო ხანში.

საერთოდ პრემიერმა აღნიშნა, რომ მხედველობაში აქვს მთელი რიგი გარემოებანი, რომლებიც გაცილებით უფრო ხელსაყრელ ვითარებას შექმნიდნენ სამამულო ფრონტის ოპოზიციის თანამშრომლობისათვის მთავრობასთან.

მესამე კიმონ გეორგიევმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ, როგორც ეს წინათაც აღნიშნულა, მომავალი არჩევნების დროს პარტიებს, თუ მოისურვებენ, შესაძლებლობა ექნებათ გამოვიდნენ დამოუკიდებელი სიებით ანდა საერთო სიებით თავისუფალი შეთანხმებით.

მეოთხე, მთავრობა თავისი ინიციატივით აპირებს მოახდინოს ცვლილება იუსტიციის სამინისტროს ხელმძღვანელობაში, რომლის სათავეშიც იქნება სამამულო ფრონტის სხვა პარტიის წევრი.

მეხუთე, შინაგან საქმეთა სამინისტროში, ისევე როგორც სხვა სამინისტროებში, მინისტრის თანაშემწედ გათვალისწინებულია სამამულო ფრონტის სხვა პარტიის წევრი, რამაც უნდა გააძლიეროს სამამულო ფრონტის პოზიცია ცალკე სამინისტროებში.

ორივე ოპოზიციური ჯგუფის წარმომადგენლებმა ყურადღებით მოისმინეს პრემიერ-მინისტრის განცხადება და მასთან ლაპარაკის დროს ნიკოლა პეტკოვმა ისეთი აზრი გამოსთქვა, რომელმაც სარწმუნო გახადა მოლაპარაკების დადებითად განვითარება, მაშინ როცა ლულჩევი და ტორპანოვი, პირიქით, დაჟინებით მოითხოვდნენ სახალხო კრების დაშლას და ჩვეულებრივი სახალხო კრების ახალი არჩევნების მოწყობას და ბულგარეთის კომუნისტური მუშათა პარტიისათვის შინაგან საქმეთა სამინისტროს ჩამორთმევას.

მიღწეულ იქნა შეთანხმება იმის შესახებ, რომ მეორე დღეს მომხდარიყო მეორე შეხვედრა, რათა ოპოზიციურ ჯგუფებს თავიანთი პასუხი შეეტყობინებინათ. მაგრამ ოპოზიციური ჯგუფების თხოვნით შეხვედრა მხოლოდ სამშაბათს მოხდა. ნიკოლა პეტკოვმა ჩამოაყალიბა თავისი ჯგუფის შემდეგი მოთხოვნები:

1. „დაუყოვნებლივ დაიშალოს სახალხო კრება, სანამ სამამულო ფრონტის ოპოზიცია მთავრობაში შევიდოდეს.

2. შეიქმნას მთავრობა, რომელსაც დაეკისროს თავისუფალი საკანონმდებლო არჩევნების მოწყობა, ამასთან შეიცვალოს ჩვეულებრივი სახალხო კრების არჩევნების საარჩევნო კანონი და არჩევნები მოხდეს დამოუკიდებელი სიებით. ახლად არჩეული სახალხო კრება ახალ მთავრობას ჰქმნის ზავის დასადებად.

3. იუსტიციის სამინისტრო უნდა გადაეცეს ბულგარეთის სამიწათმოქმედო სახალხო კავშირს (პეტკოვის ჯგუფი).

4. აღდგენილ იქნას პოლიტიკური თავისუფლებანი: პრესის, სიტყვის, ორგანიზაციათა თავისუფლება, ამნისტია მიენიჭოს მურავიევის კაბინეტის წევრებს, განთავისუფლდეს ბულგარეთის სამიწათმოქმედო სახალხო კავშირისა და სოციალ-დემოკრატიული პარტიის ყველა წევრი, რომლებიც ინტერნირებული არიან საკონცენტრაციო ბანაკებში, აგრეთვე პოლიტიკური პატიმრები.

5. ბულგარეთის სამიწათმოქმედო სახალხო კავშირი დაჟინებით მოითხოვს, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრო გადაეცეს სხვა პოლიტიკურ ორგანიზაციას, მაგრამ, თუ ზემოხსენებული პირობები მიღებულ იქნება, იგი თანახმაა კომპრომისზე ამ სამინისტროსათვის, სახელდობრ, რომ მინისტრი იყოს კომუნისტი, ხოლო მისი თანაშემწეები: პირველი, რომელსაც მილიცია დაექვემდებარება, იყოს ბულგარეთის სამიწათმოქმედო სახალხო კავშირის (პეტკოვის) წარმომადგენელი, მეორე კი, რომელიც ადმინისტრაციის სათავეში იქნება, იყოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის (ლულჩევი) წარმომადგენელი".

კოსტა ლულჩევმა თავის მხრივ წერილობით წარადგინა შემდეგი მოთხოვნა:

1. „ბულგარელ მოქალაქეთა კონსტიტუციური თავისუფლებების და უფლებების და ბულგარეთში უშიშროების, სიმშვიდისა და კანონიერების აღდგენა და გარანტია.

2. სახალხო კრების დაშლა.

3. თემთა მრჩევლების თავისუფალი არჩევნების ჩატარება.

4. ჩვეულებრივი სახალხო კრების თავისუფალი არჩევნების ჩატარება, კრებისა, რომელმაც უნდა შეადგინოს ახალი მთავრობა, გააადვილოს შესაძლებლობა და ხელი მოაწეროს საზავო ხელშეკრულებას. სახალხო კრების არჩევნები უნდა ჩატარდეს ცალკე სიებით ანდა თავისუფლად დადებული საარჩევნო შეთანხმებებით.

5. დიდი სახალხო კრების საკითხი განხილულ იქნება საზავო ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ.

6. შეიცვალოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობა და გადაიქცეს იგი სახალხო სამინისტროდ, რომელიც უზრუნველჰყოფს თავისუფლებას, სიმშვიდეს, უშიშროებასა და კანონიერებას ბულგარეთში და აღმოფხვრის ძალადობის შიშს ხალხში.

7. შეიქმნას დამოუკიდებელი და სწრაფი მართლმსაჯულება, აღდგენილ იქნას პროკურორთა უფლებები და მოეწყოს სასამართლო მილიცია ოპოზიციური ჯგუფების წარმომადგენელი მინისტრის ხელმძღვანელობით.

8. განთავისუფლებულ იქნან დაკავებული პოლიტიკური პირნი და მოისპოს საკონცენტრაციო ბანაკები.

9. ჩატარდეს სწრაფი ეფექტიანი ღონისძიებანი მოსახლეობის კვების მოსაწყობად და უზრუნველსაყოფად და პროდუქტებისა და მასალების სამართლიანად განაწილება მოქალაქეთა შორის, მიუხედავად მათი პოლიტიკური მიმართულებისა.

10. ბულგარეთის სამიწათმოქმედო სახალხო კავშირის (პეტკოვის) მონაწილეობა მთავრობაში.

11. შეთანხმების პირობების შესრულება და პატიოსანი ლოიალური თანამშრომლობა".

წარდგენილ მოთხოვნებთან დაკავშირებით პრემიერმა პეტკოვს განუცხადა:

1. პირველი შეხვედრისას ჩამოყალიბებულ მიზეზთა გამო სამამულო ფრონტს არ შეუძლია დაუშვას მოლაპარაკება სახალხო კრების დაუყოვნებლივ დაშლის მოთხოვნის შესახებ.

2. იუსტიციის სამინისტროს საკითხზე გათვალისწინებულია, რომ ეს სამინისტრო გადაეცეს სხვა პოლიტიკური პარტიის წარმომადგენელს, მაგრამ იმათი რიცხვიდან, ვინც დღემდე იღებდა მონაწილეობას მართვა-გამგეობაში.

3. შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელად პირველი შეხვედრისას მოყვანილი მოსაზრებით უნდა იყოს იმავე პარტიის—ბულგარეთის მუშათა კომუნისტური პარტიის წევრი, როგორც ეს დღემდე იყო. ამ სამინისტროს ხელმძღვანელობაში მინისტრის თანაშემწის სახით წარმოდგენილი იქნება სხვა პარტიაც, რომელიც დღემდე მონაწილეობდა მართვა-გამგეობაში. ოპოზიციისადმი კუთვნილი მინისტრის ორი თანაშემწის განკარგულებაში მილიციის დირექციისა და ადმინისტრაციის დირექციის გადაცემა, როგორც ამას ოპოზიციური ჯგუფები მოითხოვენ, იმის მომასწავებელი იქნება, რომ ეს სამინისტრო ფაქტიურად ჩამოერთვას მინისტრს და გადაეცეს ოპოზიციურ ჯგუფებს.

პრემიერმა დასძინა, რომ პეტკოვის მიერ ჩამოყალიბებული წინადადებანი სავსებით უარჰყოფენ მოსკოვის გადაწყვეტილებას და სცილდებიან მის ჩარჩოებს. მაგრამ ვინაიდან სამამულო ფრონტს სურს შეთანხმების მისაღწევად ყველაფერი გააკეთოს, რაც კი შესაძლებელია, და ვინაიდან ყველაზე დიდ დაბრკოლებას სახალხო კრებისა და არჩევნების საკითხი წარმოადგენს, პრემიერმა წინადადება შეიტანა განხილულ იქნას სხვა შესაძლებლობა, სახელდობრ: შეიზღუდოს ახლანდელი სახალხო კრების ამოცანა სასწრაფო და გადაუდებელი საკითხების შესრულებით. და რამდენადაც არის განზრახვა მოწვეულ იქნას დიდი სახალხო კრება, იგი შეიძლებოდა არჩეული ყოფილიყო ჩვეულებრივ სახალხო კრებასთან ერთდროულად, როგორც ეს მოხდა ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში ომის შემდეგ. ამასთან ერთად მიღებულ იქნას მხედველობაში შინაური და საერთაშორისო მდგომარეობა და არჩევნების მოწყობის უშორესი ვადა განისაზღვროს დაახლოებით შუა სექტემბრისათვის.

შინაგან საქმეთა და იუსტიციის სამინისტროების საკითხზე პრემიერმა დაადასტურა თავისი წინანდელი თვალსაზრისი.

ანალოგიური მოლაპარაკება მოხდა კოსტა ლულჩევთან და პეტკო ტარპანოვთან.

ყველა სხვა მეორეხარისხოვანი საკითხების შესახებ პრემიერმა აღნიშნა, რომ ეს საკითხები პრაქტიკული პოლიტიკის საკითხებია, რომლებიც მოგვარებულ იქნება ურთიერთშეთანხმებით მართვა-გამგეობის პროცესში.

დასასრულ მან წინადადება მისცა ორი ოპოზიციური ჯგუფის წარმომადგენლებს კიდევ განიხილონ მის მიერ ნათქვამი და თავიანთი პასუხი შეატყობინონ არა უგვიანეს ოთხშაბათისა, ამასთან ხაზგასმით აღნიშნა, რომ მოლაპარაკების შემდგომი გაჭიანურება აღარ შეიძლება.

მიუხედავად ამისა, ნიკოლა პეტკოვმა აცნობა ოთხშაბათს, რომ მას და კოსტა ლულჩევს პასუხი მზად არა აქვთ, ვინაიდან მათ საუბარი ჰქონდათ რეგენტ განევთან. პრემიერმა გაფრთხილება მისცა, რომ დაელოდება მათ პასუხს ღამემდე, მაგრამ მათ განაცხადეს, რომ მხოლოდ ხუთშაბათს უპასუხებენ.

ამიტომ მესამე შეხვედრა ორივე ოპოზიციური ჯგუფის წარმომადგენლებთან შესდგა 28 მარტს. კოსტა ლულჩევმა და პეტკო ტარპანოვმა შემდეგი თავიანთი მოთხოვნები აცნობეს პრემიერს:

1. პრინციპულად მათ შეუძლიათ მიიღონ დიდი და ჩვეულებრივი სახალხო კრებების ერთდროული არჩევნების იდეა. ამ არჩევნების შემდეგ უნდა მოქმედებდეს მხოლოდ ჩვეულებრივი სახალხო კრება, დიდი კრება კი — მხოლოდ ზავის დადების შემდეგ.

2. არჩევნები უნდა მოხდეს არა უგვიანეს ივნისისა.

3. შინაგან საქმეთა სამინისტრო გადაეცეს ნეიტრალურ პირს ანდა სამამულო ფრონტის სხვა პარტიაში მყოფ პირს. იმ შემთხვევაში, თუ სამინისტროს სათავეში კომუნისტი იქნება, სამინისტროს მართვა უნდა ხდებოდეს კოლექტიურად, ორი ოპოზიციური ჯგუფის წევრი მინისტრის თანაშემწის მეშვეობით.

ნიკოლა პეტკოვმა თავის მხრივ შემდეგი მოთხოვნები წარადგინა:

1) სახალხო კრების დაშლამდე პეტკოვის ჯგუფს არ შეუძლია მონაწილეობა მიიღოს მთავრობაში. არჩევნები უნდა დაინიშნოს არა უგვიანეს 15 ივნისისა. პრინციპულად მიღებულია ჩვეულებრივი და დიდი სახალხო კრების ერთდროული არჩევნების მოწყობა.

2) შინაგან საქმეთა სამინისტრო უნდა გადაეცეს ნეიტრალურ პირს ანდა წინააღმდეგ შემთხვევაში უნდა დაინიშნოს ორი ოპოზიციური ჯგუფის წევრი ორი მინისტრის თანაშემწე.

3) იუსტიციის სამინისტრო უნდა გადაეცეს ბულგარეთის სამიწათმოქმედო სახალხო კავშირის (პეტკოვის) წარმომადგენელს.

პრემიერმა კვლავ გამოსთქვა მოსაზრებანი, თუ რისთვის არ შეიძლება ამ მოთხოვნების მიღება. მან კვლავ ხაზგასმით აღნიშნა, რომ მიღებული ღონისძიებები და დასახული შესაძლებლობანი ჰქმნიან მნიშვნელოვნად შეცვლილ პოლიტიკურ ვითარებას, რომელიც ორ ოპოზიციურ ჯგუფს ნამდვილად აძლევს იმის საშუალებას, რომ მართვა-გამგეობაში წარავლინონ თითო თავიანთი წარმომადგენელი. მან აღნიშნა, რომ სამამულო ფრონტის ღონისძიებათა და დათმობათა შემდეგ, თუ ოპოზიცია განაგრძობს საწინააღმდეგო და მიუღებელი მოთხოვნების დაცვას, ოპოზიცია ცხადჰყოფს, რომ იგი დგას პოზიციაზე, რომელიც სავსებით განსხვავდება სამამულო ფრონტის თვალსაზრისისაგან და რომ იგი არაფერს არ აკეთებს, რათა შეამსუბუქოს ეს ღონისძიებანი ქვეყნის სასარგებლოდ.

პრემიერმა ერთხელ კიდევ მიაპყრო ოპოზიციური ჯგუფების წარმომადგენელთა ყურადღება იმას, თუ რა პასუხისმგებლობას კისრულობენ ისინი, როცა არ იჩენენ მზადყოფნას გააადვილონ მოსკოვის გადაწყვეტილების განხორციელება.

წასვლისას პეტკოვმა განაცხადა, რომ იგი წინადადებას მისცემს თავის ამხანაგებს ერთხელ კიდევ განიხილონ პრემიერის პოზიცია და, თუ ისინი დაეთანხმებიან ამ პოზიციას, დაუყოვნებლივ აცნობებს მას.

ასეთი ცნობა მიღებული არ ყოფილა. ამრიგად, იმის გამო, რომ ორმა ოპოზიციურმა ჯგუფმა დაუთმობლობა გამოიჩინა, პრემიერმა ოპოზიციურ ჯგუფებთან მოლაპარაკება დამთავრებულად ჩასთვალა და შეუდგა ახალი მთავრობის შექმნას სამამულო ფრონტის წრიდან.

ბულგარეთის ახალი მთავრობის შედგენა

სოფია, 31 მარტი. (საკდესი). ჩამოყალიბდა ბულგარეთის ახალი მთავრობა შემდეგი შემადგენლობით: პრემიერ-მინისტრი კიმონ გეორგიევი; საგარეო საქმეთა მინისტრი გეორგი კულიშოვი; შინაგან საქმეთა მინისტრი ანტონ იუგოვი; სახალხო განათლების მინისტრი სტოიან კოსტურკოვი; იუსტიციის მინისტრი ლუბენ კოლაროვი; ფინანსთა მინისტრი პროფესორი ივანე სტეფანოვი; სამხედრო მინისტრი გენერალ-პოლკოვნიკი დამიან ველჩევი; ვაჭრობის მინისტრი დიმიტრი ნეიკოვი; მიწათმოქმედების მინისტრი ალექსანდრე ობოვი; რკინიგზების, ფოსტისა და ტელეგრაფის მინისტრი სტეფანე ტონჩევი; კეთილმოწყობის მინისტრი გეორგი დრაგნევი; სახალხო ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი დოქტორი რაჩო ანგელოვი; სოციალური უზრუნველყოფის მინისტრი გეორგი პოპოვი; ინფორმაციისა და ხელოვნების მინისტრი დიმო კაზასოვი; ელექტროფიკაციისა და ბუნებრივ სიმდიდრეთა მინისტრი ტრაიჩო კოსტოვი; მრეწველობისა და ხელოსნობის მინისტრი გენერალ-მაიორი ხრისტო ლილკოვი; უმაღლესი ეკონომიური საბჭოს თავმჯდომარე დობრი ტერპეშევი. ტრაიჩო კოსტოვი და ალექსანდრე ობოვი ამავე დროს არიან პრემიერ-მინისტრის მოადგილეები.

ბრძანებულება მთავრობის შედგენის შესახებ ხელმოწერილია რეგენტების მიერ.

სამამულო ფრონტის მეორე კაბინეტში პოლიტიკური პარტიები წარმოდგენილი არიან ამრიგად:

ბულგარეთის მუშათა პარტიის—კომუნისტების წარმომადგენლებმა მიიღეს ოთხი პორტფელი—შინაგან საქმეთა მინისტრის, ფინანსთა მინისტრის, სახალხო ჯანმრთელობის დაცვის მინისტრისა და ელექტროფიკაციისა და ბუნებრივ სიმდიდრეთა მინისტრისა.

ბულგარეთის მიწათმოქმედთა სახალხო კავშირის კანდიდატებს აქვთ ოთხი პორტფელი: იუსტიციის მინისტრის, მიწათმოქმედების მინისტრის, რკინიგზების, ფოსტისა და ტელეგრაფის მინისტრისა და კეთილმოწყობის მინისტრისა.

სახალხო კავშირ „ზვენოს" წევრებმა, გარდა პრემიერ-მინისტრის პორტფელისა, მიიღეს სამი პორტფელი: საგარეო საქმეთა მინისტრის, სამხედრო მინისტრისა და მრეწველობისა და ხელოსნობის მინისტრისა.

ბულგარეთის მუშათა სოციალ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლებს აქვთ ორი პორტფელი: ვაჭრობის მინისტრის და სოციალური უზრუნველყოფის მინისტრისა.

რადიკალური პარტიის კანდიდატს აქვს სახალხო განათლების მინისტრის პორტფელი და დამოუკიდებელს ინფორმაციის მინისტრის პორტფელი.

სოფია, 31 მარტი. (საკდესი). დღეს შესდგა მინისტრთა ახალი საბჭოს პირველი სხდომა. პრემიერ-მინისტრმა კიმონ გეორგიევმა წაიკითხა ახალი მთავრობის დეკლარაციის პროექტი, რომელიც საბოლოოდ იქნება განხილული მინისტრთა საბჭოს შემდეგ სხდომაზე.

სოფია, 31 მარტი. (საკდესი). მოელიან, რომ ბულგარეთის ახალი მთავრობა 2 ან 3 აპრილს წარსდგება სახალხო კრების წინაშე, სადაც პრემიერ-მინისტრი კიმონ გეორგიევი გამოვა მთავრობის დეკლარაციით.

მეცნიერთა ლექცია-მოხსენებანი სოფლის აქტივისათვის

გლუხოვი (სუმის ოლქი), 29 მარტი. (საკდესი). ახალ-ლაფნეულ კულტურათა საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის მუშაკებმა ლექცია-მოხსენებათა ციკლი წაიკითხეს სოფლის აქტივისათვის.

გლუხოვის რაიონის კოლმეურნეობათა გამგეობების თავმჯდომარეებისა და სასოფლო საბჭოს თავმჯდომარეების სემინარზე პროფესორმა ხრენიკოვმა გააკეთა მოხსენება „1945-1946 წლის ზამთრის თავისებურებანი და გაზაფხულის პერიოდის აგროტექნიკა". სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა კანდიდატმა ანტიკოვმა ილაპარაკა კოლმეურნეობებში შრომისა და წარმოების მოწყობის შესახებ, სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა კანდიდატმა ხალიავინმა — სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღის რემონტის შესახებ საგაზაფხულო თესვის კამპანიის დროს.

ადგილობრივი რადიოგადაცემით მეცნიერებმა ლექციათა სერია წაიკითხეს აგროტექნიკის შესახებ.

ატს-ი 35 ქალაქისათვის

ლენინგრადი, 30 მარტი. (საკდესი). ტრესტ „სვიაზპროექტის" განყოფილება ადგენს ავტომატური სატელეფონო სადგურების პროექტებს საბჭოთა კავშირის 35 ქალაქისათვის. ეს ახალი ხუთწლედის პირველი წლის მშენებლობის ობიექტების ნაწილია.

დამთავრდა და დამტკიცდა პროექტები ახალი ელექტროქარხნისა და მოსკოვის არსებული ლენინისა და პროლეტარსკის ატს-ის გაფართოებისა, აგრეთვე პროექტები სოჭის, ულიანოვსკის, გროზნოს, ერევნისა და სხვა ქალაქების ავტომატური ტელეფონის სადგურებისა. სოჭის ატს-ისათვის უკვე გაიგზავნა მოწყობილობა.

ამჟამად ინჟინერთა კოლექტივი მუშაობს კაუნასის, კლაიპედის, კრასნოდარის, კიევისა და სხვა ქალაქების ატს-ის პროექტებზე.

ტრესტის ბრიგადები ტექნიკურ ძიებას ეწევიან ვილნიუსში, ხაბაროვსკში, კრასნოდარსა და ულან-უდეში. აპრილის დამდეგს ისინი დაბრუნდებიან ლენინგრადში და შეუდგებიან ატს-ის პროექტების შედგენას ამ ქალაქებისათვის.

თვითმფრინავმა 69 მეთევზე გადაარჩინა

ასტრახანი, 31 მარტი. (საკდესი). აქ მიღებულ იქნა რადიოგრამა, რომელიც იუწყებოდა, რომ ერთი კუნძულის რაიონში ყინულის ნატეხმა ზღვაში გაიტაცა 69 მეთევზე, რომელთაც საფრთხე მოელოდათ. ასტრახანის აეროდრომიდან დაუყოვნებლივ აფრინდა თვითმფრინავი, რომელსაც მართავდა ვოლგა-კასპიის აუზის ერთ-ერთი უძველესი მფრინავი პაველ ოსიპოვი. მიუხედავად ცუდი ამინდისა, მფრინავმა დიდი ხნის ძებნის შემდეგ მოახერხა უბედურებაში ჩავარდნილ მეთევზეთა აღმოჩენა. თვითმფრინავის დაშვება შეუძლებელი იყო, პილოტმა მოსძებნა ნაპირზე ადამიანთა გამოსვლის შესაძლებელი გზა და იგი მეთევზეებს უჩვენა.

ყველა 69 მეთევზემ პილოტის მიერ ნაჩვენები გზით ისარგებლა და ნაპირზე გამოვიდა.

ესტონეთის ქარხანა „რეტის" რადიომიმღებები

ტალინი, 30 მარტი. (საკდესი). ომამდე ტალინის რადიოქარხანა „რეტი" უშვებდა რადიოაპარატებს. ომის შემდეგ ამ ქარხნის მუშათა პირველი დიდი გამარჯვება იყო სხმული დიფუზორების ათვისება და საკუთარი მარკის დინამიკურ რეპროდუქტორთა მასობრივი წარმოება. წელს გამოშვებული იქნება 70 ათასზე მეტი რეპროდუქტორი.

ქარხანამ აითვისა აგრეთვე რადიოდეტალების წარმოება. მიმდინარე წლის პირველ კვარტალში გამოშვებულია პირველი პარტია—100 ცალი 6-ნათურიანი რადიომიმღები. ახალი მიმღებები გამოირჩევა სილამაზით, აწყობის სიზუსტით, საუცხოო აკუსტიკური თვისებებით. ქარხანა წელს გამოუშვებს ექვსი ათას ცალ ასეთ მიმღებს.

ახალი სკოლები ყინულოვანი ოკეანის სანაპიროზე

არხანგელსკი, 30 მარტი. (საკდესი). არხანგელსკის ოლქში სტალინურ ხუთწლედთა მანძილზე სკოლების ქსელი თითქმის ერთისამად გადიდდა რევოლუციამდელ დროსთან შედარებით. სკოლები გაიხსნა ახალ მიწაზე, კოლგუევში, სოლოვკის კუნძულებზე და ტუნდრაში.

ახალი ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს შემდგომ სასკოლო მშენებლობას, განსაკუთრებით იმიერპოლარეთში ამ უკანასკნელი წლების მანძილზე შექმნილ მეთევზეების დაბებში.

მონადირე მეთევზეები და მეირმეები უკვე შეუდგნენ ამ გეგმის შესრულებას. ყინულოვანი ოკეანის სანაპიროზე, დაბა ომაში, ბელუშიაში, კოტკინოსა და მთელ რიგ სხვა ადგილებში უკვე შენდება სამი სკოლა და ოთხი ინტერნატი.

ახალი ტიპის დიზელიანი მატარებელი, რომელზეც დადგმულია ორი 310-ცხენისძალიანი დიზელმოტორი. ვაგონები გაანგარიშებულია 156 მგზავრისათვის. რამდენიმე ასეთი მატარებელი მალე ამუშავდება ჩვენი ქვეყნის რკინიგზებზე.

ფოტო ე. ევზერიხინისა (საკდესის ფოტოქრონიკა).

გავაუმჯობესოთ სალექციო მუშაობა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმეთა კომიტეტისა და მისი ადგილობრივი ორგანოების მუშაობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს უბანს წარმოადგენს ღრმა, მრავალფეროვანი და სისტემატური მეცნიერულ-საგანმანათლებლო პროპაგანდა, რომელიც მოწოდებულია ხელი შეუწყოს მასებში სწორი მატერიალისტური მსოფლმხედველობის გავრცელებას, მათში ცრუმორწმუნეობისა და ჩამორჩენილობის ნაშთების აღმოფხვრას.

მეცნიერული ცოდნის გავრცელების საქმეში კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების სალექციო მუშაობას მუდამ ეკავა და ამჟამადაც უკავია ერთ-ერთი მთავარი ადგილი.

სახალხო განათლების ორგანოების სალექციო ბიუროები, რომლებიც გადაეცა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმეთა კომიტეტს, არსებობენ სამეურნეო ანგარიშზე. ისინი ხელშეკრულებებს აფორმებენ კოლმეურნეობებთან, საბჭოთა მეურნეობებთან, საწარმოებთან, დაწესებულებებთან და კლუბებთან მასობრივ სამეცნიერო-პოპულარული ლექციების ჩატარების მიზნით.

უკანასკნელ ხანებში, განსაკუთრებით სამეცნიერო-საგანმანათლებლო პროპაგანდის შესახებ საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1944 წლის 11 ნოემბრის დადგენილების შემდეგ სალექციო ბიუროებმა გააუმჯობესეს მუშაობა. ცენტრალურმა სალექციო ბიურომ 1945 წელს საქართველოს ქალაქებსა და სოფლებში 1.113 ლექცია ჩაატარა ბუნებისმეტყველების, მედიცინის, სოფლის მეურნეობის, ისტორიის, ლიტერატურის, პედაგოგიკის საკითხებზე. ეს ლექციები 78 ათასზე მეტმა კაცმა მოისმინა. საშუალოდ თითო ლექციას 70-ზე მეტი კაცი დაესწრო. მნიშვნელოვნად გაიზარდა საბუნებისმეტყველო თემებზე ლექციების ხვედრითი წონა. ცენტრალური სალექციო ბიუროს მიერ მოწყობილი ლექციების საერთო რიცხვიდან 748 ჩატარდა ბუნებისმეტყველების, მედიცინისა და სოფლის მეურნეობის სხვადასხვა საკითხებზე.

ასევე ნაყოფიერი მუშაობა ჩაატარეს აფხაზეთისა და აჭარის ასს რესპუბლიკების, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის, საქალაქო და რაიონულმა სალექციო ბიუროებმა. მათ სალექციო მუშაობაში ჩააბეს 962 შტატგარეშე ლექტორი—მასწავლებლები, ექიმები, აგრონომები და სხვა სპეციალისტები. ლექტორთა ამ რიცხვიდან 538 კითხულობს ლექციებს საბუნებისმეტყველო-სამეცნიერო თემებზე. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ხაშურის, თელავის, ქუთაისის, ფოთის, ტყიბულის, კაჭრეთის, ამბროლაურის, ქვემო სვანეთის, თეთრი წყაროს, გურჯაანისა და ახალციხის სალექციო ბიუროების ნაყოფიერი მუშაობა.

ლექციების ხარისხის გაუმჯობესებისა და მათი შინაარსის შემოწმების მიზნით ხდება ლექციების ტექსტის წინასწარი რეცენზირება სათანადო დარგების სპეციალისტების მიერ, შემდეგ კი მათ იხილავენ სალექციო ბიუროებთან არსებული ლექტორთა ჯგუფების სხდომაზე.

სალექციო ბიუროების საქმიანობის გაუმჯობესებასთან ერთად მათ მუშაობაში ჯერ კიდევ არის სერიოზული ნაკლოვანებანი.

საქართველოს მთელ რიგ რაიონებში, როგორიცაა, მაგალითად, მცხეთა, გორი, ბოლნისი, ყვარელი, თიანეთი, ყარაიაზი, ბორჩალო სალექციო ბიუროები აქამდე არ იყო ჩამოყალიბებული. ამიტომ ამ რაიონებში ლექციებს კითხულობდნენ შემთხვევიდან შემთხვევამდე.

მთავარი ნაკლი სალექციო მუშაობაში ის არის, რომ ბევრი წაკითხული ლექციის ხარისხი ჯერ კიდევ არ არის დამაკმაყოფილებელი. ლექტორები არასაკმაო რაოდენობით ღებულობენ მეცნიერული ხასიათის ლიტერატურას, მეთოდურ სახელმძღვანელოებს, რაც მნიშვნელოვნად აძნელებს მათ მუშაობას და სცემს ლექციების ხარისხს. თვალსაჩინო ხელსაწყოების უქონლობა ძლიერ უშლის ხელს ლექციების პოპულარობას.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმეთა კომიტეტს და მის სალექციო პროპაგანდის სამმართველოს დასჭირდებათ დიდი დახმარება გაუწიონ სალექციო ბიუროებს მუშაობის გადაჭრით გაუმჯობესებაში. საჭიროა გადიდდეს ქალაქებსა და სოფლებში წასაკითხი ლექციების რიცხვი, განსაკუთრებით საბუნებისმეტყველო-სამეცნიერო თემებზე. ხშირად უნდა მოვაწყოთ ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში ფასიანი საჯარო ლექციები, ამისათვის მოვიწვიოთ მაღალკვალიფიციური სპეციალისტი ლექტორები. აუცილებელია განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს წასაკითხი ლექციების ხარისხს. მოწესრიგდეს და გაუმჯობესდეს მათი რეცენზირება, წინასწარი შემოწმება.

ლექტორების დასახმარებლად ჩვენ უნდა დავაჩქაროთ საუკეთესო ლექციების ტექსტების, მეცნიერული ბროშურების, თვალსაჩინო სახელმძღვანელოების, აგრეთვე სხვა ხელშემწყობი მასალების გამოშვება. ადგილობრივმა პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა საჭიროა მეტი დახმარება აღმოუჩინონ სალექციო ბიუროებს კოლმეურნეობებთან, საწარმოებთან და დაწესებულებებთან ხელშეკრულებათა დადების საქმეში, რაც ხელს შეუწყობს მშრომელი მასების კულტურული მომსახურების მკვეთრად გაუმჯობესებას.

ე. კუტუზოვი
ცენტრალური სალექციო ბიუროს დირექტორი

დიდი წნევისა და მაღალი ტემპერატურის ორთქლის ქვაბები

ლენინგრადი, 28 მარტი. (საკდესი). საბჭოთა მეცნიერები მუშაობენ მაღალი ორთქლსაზომი დანადგარების—თანამედროვე ტექნიკის შედევრების შექმნაზე. ორთქლძალოვანი დანადგარები ორთქლის მაღალი ორთქლსაზომების გამოყენებით, ე. ი. გადამუშავებული ორთქლის გამოყენებით 450-500 გრადუსი ტემპერატურისა და 70 და მეტი ატმოსფეროს წნევისას, დიდ პერსპექტივებს ჰქმნიან გემთმშენებლობაში.

აკადემიკოს კრილოვის სახელობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ინჟინერ-კონსტრუქტორებმა ცოტა ხნით ადრე ომამდე შეჰქმნეს ორი ასეთი დანადგარი სპეციალურად აგებული ხომალდებისათვის. სამამულო ომმა დროებით შეაჩერა შემდგომი გამოკვლევა. ახლა მეცნიერმა თანამშრომლებმა, ინჟინერ ასეევის მეთაურობით, განაახლეს შეჩერებული მუშაობა.

მრავალმა ლაბორატორიულმა გამოკვლევამ და გამოცდამ სტენდებზე დაადასტურა ყველა ვარაუდი. ექსპერიმენტებით დამტკიცებულია შემუშავებული კონსტრუქციის მთელი რიგი უპირატესობანი ტურბსაქვაბე აგრეგატების არსებული ტიპების წინაშე. იგი ეკონომიურია, მნიშვნელოვა უპირატესობას იძლევა გაბარიტებს და წონაში. ასეთი დანადგარის დანერგვა შესაძლებლობას მოგვცემ გავადიდოთ ნაოსნობის სიჩქარე, ავტონომიურობა და ტონაჟი.

მეცნიერი თანამშრომლები განაგრძობენ თავისი კონსტრუქციის კვლევას ხომალდებზე ნორმალურ ექსპლოატაციასთან მიახლოებულ პირობებში.

ინჟინერ-კონსტრუქტორები განაგრძობენ მუშაობას ამ პრობლემაზე. დ ჰქმნიან უფრო სრულყოფილ ქვაბებს და ტურბინებს. უფროსი მეცნიერ თანამშრომელი ამხ. ჩერნოვი გამოსაცდელად ამზადებს 125 ატმოსფეროს წნევის ქვაბს 500 გრადუსის ტემპერატურის დროს. პირველხარისხოვან სახომალდო ტურბსაქვაბე დანადგარების შესაქმნელად გულმოდგინე მუშაობენ მეცნიერი თანამშრომლებ ამხანაგები გორბუნოვი, დეშკინ პრომისლოვი, პროკოფიევი და სხვებ

საქართველოს საჭადრაკო ჩემპიონატი

მეცამეტე ტური

ამ ტურში მაყურებელთა ყურადღების ცენტრში იყო პეტროსიანისა და ოსტატ მიკენასის პარტია. მიკენასმა შავებით გრიუნფელდის დაცვა აირჩია და მდგომარეობის გათანასწორებას ადვილად მიაღწია. პეტროსიანი თამაშობს პასიურად, აგებს ხარისხს და შემდეგ პარტიასაც. ფალავანდიშვილმა წააგო გროსმაისტერ კერესთან. არუთინოვმა დაამარცხა ალამალიანი. ნერსესოვმა ძლიერად ჩაატარა პარტია ზაგორიანსკისთან, რომელიც შეეცადა მოწინააღმდეგის მეფე საშამათო ქსელში მოექცია. ნერსესოვმა ზუსტად ითამაშა, თავი კარგად დაიცვა და მოიგო ხარისხი. პარტია გადაიდო ზაგორიანსკისათვის წასაგებ მდგომარეობაში. ებრალიძე-სოროკინის და ვეიზერ-სერედის პარტიები ყაიმით დასრულდა.

დანარჩენი პარტიები გადაიდო. გაჩეჩილაძ და ბლაგიძეს მოსაგები მდგომარეობა აქვ გიორგაძისა და შიშოვის წინააღმდეგ. მალაშხია-ფირცხალავას პარტია არ გათამაშებულ ცინცაძე-ქარსელაძის პარტია გადადებულ რთულ პოზიციაში.

მეთოთხმეტე ტური

მეთოთხმეტე ტურში გროსმაისტერმა კერესმა მოუგო ცინცაძეს. მალაშხია მტკიცედ იცავდა თავს ებრალიძის წინააღმდეგ. მართალია, მან წააგო პაიკი, მაგრამ მდგომარეობის სიმარტივის გამო ჰქონდა პარტიის გადარჩენის შანსები, რაც ვერ გამოიყენა და წააგო. არუთინოვს შუა თამაშში დაწყებული აქტიური ოპერაციები ლაზიერის ფრთაზე თამაშით შეეძლო გაეძლიერებინა, მაგრამ ეს მან არ მოისურვა, რითაც საშუალება მისცა ოსტატ მიკენასს ცენტრში თამაშის წარმოებით პარტიის ბედი თავის სასარგებლოდ გადაეწყვიტა. სოროკინმა მოუგო ნერსესოვს, შიშოვმა—ვეიზერს.

კარგად დაიწყო პარტია ქარსელაძემ, რომელიც ამ დღეს პეტროსიანს ეთამაშებოდა, მაგრამ თამაშის მეორე ნახევარში დაუშვა შეცდომა და წააგო პაიკი. პარტია გადაიდო პეტროსიანისათვის უკეთეს მდგომარეობაში. პაიკით ნაკლები ჰყავს აგრეთვე გაჩეჩილაძეს ოსტატ ზაგორიანსკის წინააღმდეგ, მაგრამ სამაგიეროდ მისი ძლიერი გამსვლელი პაიკი ჰბოჭავს ზაგორიანსკის ფიგურებს.

საყაიმო მდგომარეობაში გადაიდო გიორგაძისა და ფალავანდიშვილის პარტია. ალამალიან-სერედის და ფირცხალავა-ბლაგიძის პარტიები გადაიდო რთულ და გამოურკვეველ მდგომარეობაში.

თოთხმეტი ტურის შემდეგ წინ არიან: კერესი—13 (1 გადადებული), მიკენასი—12½, ზაგორიანსკი—9 (2 გადადებული), ებრალიძე —8½ (1 გადადებული), პეტროსიანი—8 (2 გადადებული).

დღეს, 2 აპრილს, მოხდება გადადებული პარტიების დამთავრება.

კომუნისტი

საუბარი მეცნიერებისა და ტექნიკის საკითხებზე

ატომური ენერგია

„ატომის ენერგიაც გვექნება და ბევრი სხვა რამეც“...
ვ. მ. მოლოტოვი

ცეცხლი — ადამიანის ეს უდიდესი მონაპოვარი — უხსოვარი დროიდან დღემდე ტექნიკის განვითარების ერთ-ერთ მძლავრ მამოძრავებელ ძალას წარმოადგენს. წვის შესახებ მეცნიერების განვითარების პირველი ხანა, რომლის დასაწყისი ალქიმიური ლაბორატორიების ბინდ-ბუნდში იკარგება, წარმოადგენს ძირითადი ქიმიური ფაქტების დადგენის პერიოდს. მომდევნო პერიოდში მკვლევარები სწავლობდნენ წვის ენერგეტიკასა და აფეთქების თანმხლებ პროცესებს. მხოლოდ მეოცე საუკუნეში ხერხდება წვის ენერგეტიკის მეცნიერული შესწავლა.

ცეცხლმა უდიდესი ბიძგი მისცა ადამიანის პირველყოფილ ტექნიკურ აზროვნებას. ცეცხლის შემოქმედებითი და ნგრევითი ძალის შესწავლის შედეგად აღმოცენდა მთელი დარგი, რომელმაც უდიდესი როლი შეასრულა კაცობრიობის ტექნიკური წინსვლის პროცესში.

სულ სხვაგვარი ისტორია აქვს ელექტრობას, რომელიც თანამედროვე საზოგადოების ერთ-ერთ უდიდეს მიღწევას წარმოადგენს.

ცეცხლი და ელექტრობა კაცობრიობის კულტურის ორი დიდი ჩირაღდანია.

როგორი წარმოშობისაა ენერგიის ეს სახეები? კაცობრიობა ჯერ კიდევ უძველეს დროში მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ყოველგვარი სახის ენერგიას ჩვენ მზისგან ვღებულობთ. ამიტომ მზეს სავსებით სამართლიანად თვლიდნენ ყოველი დოვლათის წყაროდ. მეცნიერებამ დაამტკიცა, რომ დედამიწის ენერგიის მარაგი მართლაც მზიური წარმოშობისაა. ის სითბო, რომელიც საწვავის წვის შედეგად წარმოიშობა, ის ენერგია, რომელსაც საკვები ნივთიერებიდან ვღებულობთ, უნდა განვიხილოთ როგორც მზის ენერგია. მაგალითად, ქვანახშირი წარმოადგენს ნაშთს მიწაში ჩამარხული წინა ისტორიული ტყეებისას, რომლებიც ოდესღაც მზის სხივების ენერგიით იზრდებოდნენ.

ენერგიის რაოდენობა, რომელსაც მზე გვაწვდის, უდიდესია, ქვანახშირის მარაგი კი — შეზღუდული. დღემდე აღრიცხული ნამარხი ნახშირის რაოდენობა დაახლოებით 1.500-ჯერ მეტია, ვიდრე ნახშირის ყოველწლიური მოხმარება. აქედან გამომდინარეობს პირველი შეხედვით დამაფიქრებელი დასკვნა, რომ 1.500 წლის შემდეგ ქვანახშირის მარაგი უთუოდ გამოილევა (თუ არ იქნა მიგნებული ახალი ბუდობები), ხოლო ხელმისაწვდომი ქვანახშირი — გაცილებით უფრო ადრე. გამოანგარიშებულია, რომ ინგლისის ქვანახშირის მარაგი ამოიწურება 200 წლის განმავლობაში და 50 წლის შემდეგ ქვანახშირი უკვე ძნელი მისაწვდომი იქნება. დაახლოებით ასეთივე სურათს იძლევა ამერიკის ქვანახშირის მარაგი.

მზის ენერგიას შეიცავს აგრეთვე „თეთრი ნახშირი“, ე. ი. წყლის ძალა, რომლის საფუძველზეც ჰიდროსადგურები ეწყობა. მისი გამოყენება დაკავშირებულია მრავალ უხერხულობასთან, რომელთაგან უმთავრესია ადგილმდებარეობის პირობები. მიუხედავად წყლის დიდი ენერგიისა, იგი ძლიერად ვერ შესცვლის ორთქლის ძალას, რომელიც ნახშირის წვის შედეგად მიიღება. ამიტომ გასაგებია, რომ მკვლევარებმა მიზნად დაისახეს უშუალოდ გამოეყენებინათ მზის სხივები, რომელთაც ჩვენთან მოაქვთ დაახლოებით ასრათასჯერ მეტი ენერგია, ვიდრე ნახშირის წვას.

ჯერ კიდევ ანტიკურ ეპოქაში ევკლიდე, არქიმედი და გერონი გამოსთქვამდნენ მოსაზრებას მზის სითბოს უშუალოდ გამოყენების შესახებ.

საგულისხმოა, რომ უკანასკნელი წლების მანძილზე, როგორც ჩვენში, ისე უცხოეთშიც აგებულ იქნა უზარმაზარი სარკეული დანადგარები მზის სხივების შესაკრებად. მაგრამ მათი გამოყენების პერსპექტივები მეტად შეზღუდული აღმოჩნდა.

უფრო მეტ იმედებს ამყარებდნენ ქარის ენერგიაზე, რომელიც აგრეთვე მზიური წარმოშობისაა.

ცნობილია, რომ მზის სხივების მოქმედებით წყალი ორთქლდება, ღრუბლებად გროვდება ატმოსფეროს ზედაფენებში და ილექება წვიმის სახით. წვიმის ენერგია მრავალჯერ აღემატება მდინარეებისა და ჩანჩქერების ენერგიას, მაგრამ მის გამოყენებას ხელს უშლის მეტისმეტი გაფანტულობა. ნახშირისა და ჩანჩქერების ენერგიის ეკონომიური ხელსაყრელობა კი იმაში მდგომარეობს, რომ კონცენტრირებულია, გაფანტული არ არის მზის სხივების, წვიმის, ქარის, ე. წ. „ცისფერი ნახშირის“ მსგავსად.

როგორც ვხედავთ, საუკუნეების მანძილზე მეცნიერული აზრი დაუღალავად მუშაობდა და მუშაობს ენერგიის ახალი მძლავრი წყაროების გამოსავლინებლად.

როდესაც მეცნიერებმა ჩაიხედეს ატომის სიღრმეში, შეისწავლეს ეს სამყარო, მისი აღნაგობა და თვისებები, დაინახეს, რომ ატომი ენერგიის უდიდეს მარაგს შეიცავს, რომელიც პრაქტიკულად განუსაზღვრელია, მაშინ მეცნიერულმა აზროვნებამ სულ სხვა მიმართულება მიიღო.

აღმოჩნდა, რომ მზე არ წარმოადგენს ენერგიის ერთადერთ წყაროს.

ატომური ენერგია აღმოჩენილ იქნა ბუნების მოვლენათა ღრმა მეცნიერული ანალიზის შედეგად. ეს აღმოჩენა წარმოადგენს ადამიანის გონების სიმძლავრის მკაფიო გამოხატულებას.

რა არის ატომური ენერგია, რა ბუნებისაა იგი და როგორ შეიძლება ხალხის საკეთილდღეოდ მისი გამოყენება?

ძველი საბერძნეთის ფილოსოფოსებმა ჯერ კიდევ 25 საუკუნის წინ შექმნეს მოძღვრება ნივთიერების აღნაგობის შესახებ. ისინი ამბობდნენ, რომ ყოველგვარი ნივთიერება შესდგება უცვლელი, განუყოფელი, მეტად მცირე ზომის ნაწილაკებისაგან, რომლებიც განუწყვეტლივ მოძრაობაში იმყოფებიან. ამ უმცირესი ზომის უხილავ ნაწილაკებს დემოკრიტემ ატომები უწოდა, რაც ბერძნულად განუყოფელს ნიშნავს.

თანამედროვე მოძღვრებას ნივთიერების აღნაგობის შესახებ საფუძვლად უდევს ატომური თეორია, რომლის თანახმად ყოველგვარი ნივთიერება შესდგება ატომებისაგან.

თავის გენიალურ შრომაში „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი“ ვ. ლენინი სწერდა, რომ ატომი ისევე დაუშრეტელია, როგორც სამყარო. ეს სიტყვები ბრწყინვალედ დაადასტურა ფიზიკის შემდგომმა განვითარებამ.

თანამედროვე გამოკვლევების შედეგად დადგენილია, რომ ატომი არ არის განუყოფელი. მის ცენტრში მოთავსებულია დადებითი ელექტრობით დამუხტული მძიმე ატომგული, რომლის ირგვლივ მსუბუქი ელექტრონები მოძრაობენ. ელექტრონი წარმოადგენს ელექტრობის უმცირეს ნაწილაკს, რომელსაც უარყოფითი მუხტი აქვს. ელექტრონის მუხტი ერთეულად არის მიჩნეული. იგი უდრის უმარტივესი ატომის, წყალბადის ატომგულის მუხტს, რომელსაც დადებითი ნიშანი აქვს. ყოველი ელემენტის (წყალბადი, ჟანგბადი, რკინა, ოქრო, ურანი და სხვ.) ატომგულის მუხტი სხვადასხვა სიდიდისაა და აპირობებს ელემენტის ინდივიდუალობას.

ატომგული მეტად რთული აღნაგობის აღმოჩნდა. საბჭოთა მეცნიერების თეორიით, რომელიც ამჟამად საყოველთაოდ მიღებულია, ატომგული აგებულია მხოლოდ პროტონებისა (წყალბადის ატომგული) და ნეიტრონებისაგან (მარტივი, ელექტრულად ნეიტრალური ნაწილაკი), რომელთა მასა თითქმის ერთნაირია და დაახლოებით ერთის ტოლია. მათი სხვადასხვაგვარი თანაფარდობა ჰქმნის სხვადასხვა სიდიდის მუხტის მქონე ატომგულს, ე. ი. სხვადასხვა ქიმიურ ელემენტს.

ქიმიური ელემენტების თვისებები დამოკიდებულია ატომგულის მუხტის სიდიდეზე. თუ ხელოვნურად შევცვლით, მაგალითად, ვერცხლისწყლის ატომგულის მუხტს, რომელიც 80-ის ტოლია, შევამცირებთ მას ერთით, მივიღებთ ელემენტს 79 მუხტიანი ატომგულით, ე. ი. ოქროს.

საშუალო საუკუნეების ალქიმიკოსები ოცნებობდნენ ასეთ ხელოვნურ გარდაქმნაზე, მაგრამ უშედეგოდ.

ერთი ელემენტიდან სხვა ელემენტის მიღება მხოლოდ ჩვენს დროს მოხერხდა. ატომგულის ხელოვნური გარდაქმნის შედეგად შესაძლებელი გახდა მისი აღნაგობის შესწავლა. 1930 წლიდან ფიზიკის ეს დარგი დიდად განვითარდა. ამის შედეგად დაისახა ატომგულის პრობლემა, კერძოდ, მისი მეტად მნიშვნელოვანი ნაწილის, ე. წ. ურანის პრობლემა, რომელზეც ამჟამად მთელ მსოფლიოში მკვლევართა უმრავლესობა მუშაობს.

ატომგულს შეესაბამება ნივთიერების მთელი მასის 0,999 ნაწილი და მხოლოდ 0,001 ნაწილი მოდის ელექტრონებზე. რადგან მასა ენერგიის მარაგის საზომია, ცხადია, რომ თითქმის მთელი ენერგია ატომგულშია თავმოყრილი. ატომური ენერგიის უდიდესი მარაგი, რომელსაც ატომგული შეიცავს, გიგანტურ სიდიდეს აღწევს. მაგალითად, 200 გრამი ყოველგვარი ნივთიერება შეიცავს იმდენ ენერგიას, რამდენის მისაღებადაც საჭიროა მილიონი ტონა ნახშირი. უდავოა, რომ მეტად წარმტაცია აზრი ჩვენს განკარგულებაში ვიქონიოთ ეს ენერგია. ამისათვის, პირველ რიგში, საჭიროა შევისწავლოთ ატომგულის თვისებები და შემდეგ დავსახოთ მისი განთავისუფლების გზები.

კლასიკური ფიზიკა გვასწავლის, რომ დადებითი მუხტი დადებითს განიზიდავს, ხოლო უარყოფითს მიიზიდავს. ენგელსის აზრით, იქ სადაც გვაქვს მიზიდვა, ეს უკანასკნელი გამოწვეულია განზიდვით. თანამედროვე ატომურმა ფიზიკამ დაადგინა, რომ დადებითად დამუხტული ნაწილაკები — პროტონები მართალია განზიდავენ ერთმანეთს, მაგრამ მეტად მცირე მანძილზე ერთმანეთთან მიიზიდებიან. პროტონთა მიზიდვის ძალები უფრო მცირეა, ვიდრე განზიდვისა. მაშ რა იწვევს ატომგულის მდგრადობას, რატომ არ იშლება იგი თავისთავად? ამის მიზეზი ის არის, რომ პროტონების გარდა ატომგული ნეიტრონებსაც შეიცავს. ნეიტრონებს, მართალია, არა აქვთ ელექტრული მუხტი, მაგრამ მათ აქვთ როგორც ერთმანეთის, აგრეთვე პროტონების მიზიდვის უნარი. ამ შეკავშირებული ძალების შედეგად ატომგული მტკიცე სისტემას წარმოადგენს.

ჩვენ რომ ატომგულში პროტონი შევიტანოთ, ეს გამოიწვევს განზიდვის ძალების გაძლიერებას და ატომგულის მდგრადობა შეირყევა, იგი დაიშლება მისი დადებითად დამუხტული ნაწილაკების ძლიერი განზიდვის გამო. გარედან პროტონის შეტანა ატომგულში ძნელი გახდა. მთავარი სიძნელე ის იყო, რომ ატომგული „დაჯავშნულია“. ეს „ჯავშანი“ ელექტრული ბუნებისაა. იმისათვის, რომ პროტონი ატომგულში მოხვდეს, საჭიროა მას მივანიჭოთ დიდი სიჩქარე, რათა ატომგულთან დაჯახებისას გადალახოს განზიდვის ძალები, გაარღვიოს „ჯავშანი“ და ატომგულში შეიჭრას. ატომგულის ასეთი დაყუმბარებით მოხერხდა მრავალი ელემენტის გარდაქმნა და ახალი ელემენტების მიღება, რომელთაგან ზოგიერთი რადიოაქტიური აღმოჩნდა.

ასეთი ცდები ჩაატარეს სხვადასხვა ლაბორატორიებმა როგორც ჩვენში, ისე უცხოეთში. მიღებული შედეგები მეტად საინტერესო აღმოჩნდა. მაგალითად, პროტონებით ლითიუმის (მსუბუქი ლითონია) დაყუმბარებისას მისი ატომგული ირღვევა და ჰელიუმის ორი ატომგული წარმოიშობა, რომელთა მოძრაობის ენერგია ძალიან დიდია. ამ პროცესის დროს 250-ჯერ უფრო მეტი ენერგია მიიღება, ვიდრე დავხარჯეთ. ეს არის ატომგულური ენერგიის განთავისუფლების ერთ-ერთი მაგალითი. შეიძლება თუ არა ეს მოვლენა საფუძვლად დავუდოთ ატომგულური ენერგიის მარაგის გამოყენებას? არა, არ შეიძლება, ვინაიდან ყველა „გასროლილი“ პროტონი მიზანს ვერ ხვდება. ეს „ატომგულური არტილერია“ ბრმად ისვრის, ათი მილიონი გასროლილი პროტონიდან ერთი თუ დაეჯახება ლითიუმის ატომგულს და გამოიწვევს მის გარდაქმნას. ცხადია, საბოლოო ბალანსი მეტად არახელსაყრელია. ამ პროცესს იმ შემთხვევაში ექნებოდა მნიშვნელობა, თუ მიზანში მოხვედრის ალბათობა ასპროცენტიანი აღმოჩნდებოდა, ამავე დროს პროცესს ექნებოდა განვითარების, თვითგაღვივების უნარი.

ამ მხრივ გაცილებით მეტ იმედებს გვაძლევენ ნეიტრონები, რომელთა მიმართ ატომგულებს არავითარი ჯავშანი არა აქვთ. ნეიტრონებს მართლაც შესანიშნავი თვისებები აღმოაჩნდათ. ნეიტრონს თავისუფლად შეუძლია ატომგულში შეიჭრას, რადგან მას არა აქვს ელექტრული მუხტი და ამიტომ ატომგული მას არ განზიდავს. გამოირკვა, რომ ნეიტრონთა არტილერია ყოველთვის მიზანში ხვდება. ასპროცენტიანი მოხვედრის შედეგად ისინი იწვევენ ატომგულიდან ამა თუ იმ ნაწილაკების გამოტყორცნას, რასაც თან ახლავს ატომური ენერგიის განთავისუფლება.

1939 წელს მეცნიერებმა შესძლეს ურანის დაშლა, რამაც უდიდესი როლი შეასრულა ატომური ენერგიის პრობლემის ამოხსნაში. ეს მოვლენა თვალსაჩინოდ განსხვავდება კარგად ცნობილი რადიაქტიური დაშლის ან მანამდე შესწავლილ ატომგულური პროცესებისაგან, რომელთა მიმდინარეობა დაკავშირებულია ატომგულიდან მცირე ნაწილაკების გამოტყორცნასთან. როდესაც ნეიტრონი ეჯახება ურანის ატომგულს, უკანასკნელი თითქმის შუაზე იყოფა და მიიღება ორჯერ მსუბუქი ორი ატომი, მაგალითად, ბარიუმი და ლანტანი, ამავე დროს გამოიყოფა ენერგიის უდიდესი რაოდენობა. გამოყოფილი ენერგია 16 მილიონჯერ აღემატება იმავე წონის უძლიერესი ფეთქებადი ნივთიერების ენერგიას. ეს იმას ნიშნავს, რომ ერთი კილოგრამი ურანის ასეთი დაშლისას ხდება აფეთქება, რომლის ძალა 16 ათასტონიანი ყუმბარის აფეთქებას უდრის.

რითი აიხსნება, რომ ურანის დაშლისას ესოდენ დიდი ენერგია გამოიყოფა? ურანის ატომგული დიდია, მძიმეა, იგი მდგრადია. მისი დაშლის შედეგად მიღებული მსუბუქი ელემენტების ატომგულები გაცილებით მკვრივი და მდგრადია, მათი ენერგია კი მცირე. ურანის ატომგულის დაშლის შედეგად მიღებული ატომგულების ენერგიის ჯამი გაცილებით უფრო ნაკლებია, ვიდრე ურანის ატომგულის ენერგია და ენერგიის სწორედ ეს სხვაობა გამოიყოფა ურანის დაშლის დროს.

ურანის ასეთ დაშლას არავითარი პრაქტიკული მნიშვნელობა არ აღმოაჩნდებოდა, რომ მას „თვითგაღვივების“ უნარი არ ჰქონოდა. დაშლისას ორი ახალი ატომის გარდა მიიღება კიდევ ორი-სამი ნეიტრონი. ეს ნეიტრონები იწვევენ ურანის სხვა ატომების დაშლას, რომელთაგან კვლავ სამ-სამი ნეიტრონი მიიღება; ისინი განაგრძობენ ამ პროცესის განვითარებას, რომელსაც ზვავის ხასიათი ეძლევა. ურანის ატომთა რაოდენობა, რომლებიც დაშლას განიცდიან, იზრდება ძლიერი გეომეტრიული პროგრესიით. ეს პროცესი თავისთავად ვითარდება და დიდი სისწრაფით მიმდინარეობს, ე. ი. ხდება ჯაჭვური დაშლა, რომელიც დენთის ალებას მოგვაგონებს.

საკითხის დაწვრილებით შესწავლისას გამოირკვა, რომ ჩვეულებრივი ურანის ამგვარად „აფეთქება“ არ შეიძლება. ასეთი „ფეთქებადი“ უნარი აქვს ურანის არა ყველა ატომს, არამედ მხოლოდ იმ ატომებს, რომელთა მასა 235-ჯერ აღემატება წყალბადის მასას (ჩვეულებრივი ურანის მასა 238-ია). ურანის ყოველი ათასი ატომი მხოლოდ შვიდ ასეთ ატომს შეიცავს. ამიტომ საჭირო შეიქნა მათი გამოყოფა, რაც მეტად რთული ამოცანა გამოდგა. ამას გარდა მოხერხდა ჩვეულებრივი ურანიდან უფრო მძიმე ურანის ხელოვნური გზით მომზადება, რომლის დაშლით 235 მასის მქონე ურანი წარმოიშობა. ეს მეტად რთული ტექნიკური ამოცანა ამჟამად გადაჭრილია.

ასეთივე წესით იშლება ზოგიერთი სხვა ელემენტი — თორიუმი და პროტაქტინიუმი.

ატომური ენერგიის გამოყენება უდიდეს პერსპექტივებს სახავს. მას თავისუფლად შეუძლია შესცვალოს არა მარტო ნახშირისა და წყლის ენერგია, არამედ სხვა სახის ენერგიებიც. მისი გამოყენება უდიდესი იქნება. ატომური ენერგიის განთავისუფლების პირველი ცდების შემდეგ, რაც თანამედროვე კვლევის ტრიუმფს წარმოადგენს, იმის გათვალისწინებაც კი ძნელია, თუ რა გავლენას მოახდენს ეს მეცნიერებისა და ტექნიკის შემდგომ განვითარებაზე.

ამჟამად კაცობრიობა დგას ატომური ენერგიის მშვიდობიანი მიზნებისათვის გამოყენების პრობლემის წინაშე.

უდიდესი როლი ატომური ენერგიის მშვიდობიანი მიზნებისათვის გამოყენებაში ენიჭება ჩვენს სოციალისტურ სამშობლოს, რომელიც ერთადერთი სახელმწიფოა მსოფლიოში, სადაც ბუნების ყველა ძალა, მეცნიერების ყველა მიღწევა ხალხის ინტერესებს, კულტურისა და პროგრესის საქმეს ემსახურება.

ხალხთა დიდმა ბელადმა ამხანაგმა სტალინმა თავის სიტყვაში მოსკოვის სტალინის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა წინასაარჩევნო კრებაზე მაღალი შეფასება მისცა საბჭოთა მეცნიერებს.

საყვარელი ბელადის ნდობას და იმედს ბოლომდე გაამართლებენ საბჭოთა მეცნიერები, რომლებმაც თვალსაჩინო წვლილი შეიტანეს ატომის საიდუმლოების ამოცნობაში. ისინი ატომურ ენერგიას გამოიყენებენ სოციალისტური სამშობლოს ძლევამოსილებისა და კეთილდღეობისათვის.

პროფესორი ვ. კოკოჩაშვილი

თაფლის უხვი მოსავალი

საქართველოს სსრ მთელმა რიგმა კოლმეურნეობებმა შარშან თაფლის კარგი მოსავალი მიიღეს. სიღნაღის რაიონის სოფელ ბოდბის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობამ ფუტკრის ოჯახთა რიცხვი წლის მანძილზე 82-დან 120-მდე აიყვანა, ხოლო თვითეულ სკაზე თაფლის გამოსავლიანობა — 26 კილოგრამიდან 35 კილოგრამამდე. ლაგოდეხის, თბილისის, ახალქალაქისა და ხულოს რაიონების კოლმეურნეობებმა ფუტკრის თვითეული ოჯახიდან მიიღეს 30 კილოგრამი თაფლი, გუდაუთისა და საგარეჯოს რაიონების კოლმეურნეობებმა — 35 კილოგრამი, წითელწყაროს — 40 კილოგრამზე მეტი.

ცალკეულ კოლმეურნეობებში თაფლის გამოსავლიანობა ბევრად უფრო მაღალია. მაგალითად, საგარეჯოს რაიონის სოფელ სართიჭალის ტელმანის სახელობის კოლმეურნეობაში საშუალოდ სკაზე მიღებულია 47,5 კილოგრამი თაფლი, წითელწყაროს რაიონის სოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეობა „შრომაში“ — 61, ქვემო ქედის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობაში — 64, ხოლო წითელწყაროს კალინინის სახელობის კოლმეურნეობაში — 70 კილოგრამი.

სასოფლო ელექტროსადგურები ხაშურის რაიონში

რაიონში დიდი მუშაობაა გაწეული საკოლმეურნეო სოფლების ელექტროფიკაციის დარგში. ახლა საკუთარი ელსადგური აქვს ქვიშხეთს, ტეზერს, კაკალათხევს, ჯაფინაურს, გვერდისუბანს, იტრიას, ჩუმათელეთს. სულ ელექტროფიცირებულია 12 სოფელი.

ამჟამად ელსადგურები შენდება ალში, ვაყასა და გომში. ეს ელსადგურები დენს მიაწვდიან მომიჯნავე სოფლებსაც.

სარკის წარმოება

სარეწაო კოოპერაციის საწარმოში — „ტექნოქიმში“ რამდენიმე დღეა შეუდგნენ სარკის წარმოებას. ამზადებენ სამგზავრო, ჯიბის, სატუალეტო და სხვადასხვა სტილის პორტატულ სარკეებს. უახლოეს ხანში აქ დაიწყებენ აგრეთვე ტექნიკური სარკეების წარმოებასაც.

წარმოება სასარკე შუშის მასალით სავსებით უზრუნველყოფილია.

„ინსპექტორი მოვიდა“. სურათზე: სსრ კავშირის სახალხო არტისტი ა. ვასაძე (ინსპექტორი გული), რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი თ. თუშიშვილი (სიბილა ბერლინგი), რესპუბლიკის სახალხო არტისტი დ. მჟავია (არტურ ბერლინგი).

„ინსპექტორი მოვიდა“

რუსთაველის თეატრის ახალი სპექტაკლი

პრისტლის პიესა „ინსპექტორი მოვიდა“, რომელიც რუსთაველის სახელობის თეატრმა დადგა, ავტორის ერთერთი უკანასკნელი ნაწარმოებია. ამ პიესამ ჩვენში ფართო გამოხმაურება ჰპოვა. გასულ წელს იგი დადგეს ლენინგრადის კომედიის თეატრმა და მოსკოვის კამერულმა თეატრმა.

პიესის სიუჟეტი დეტექტიურად ვითარდება, ღრმა სოციალურ მიმართებას იღებს და მამხილებელ სატირულ სიმწვავეს აღწევს. სამი აქტის მანძილზე მიმდინარეობს საუბარი სულ ექვს მოქმედ პირს შორის, ამბავი ხდება რამდენიმე საათის მანძილზე ერთსა და იმავე ოთახში, მაგრამ ეს საუბარი ისეთ მასალაზეა აგებული, რომ მაყურებელს დაძაბულ მდგომარეობაში აყენებს.

პიესაში ყოველი მოვლენა ერთმანეთთან ისეთი ბუნებრივობით და ფსიქოლოგიური აუცილებლობით არის დაკავშირებული, რომ საკმარისია მაყურებელს ერთი რეპლიკა გამორჩეს მხედველობიდან და მისთვის თითქმის გაუგებარი გახდება მოვლენათა შემდეგი მსვლელობა.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ პრისტლი ამ პიესაში არ არის სავსებით ორიგინალური. იგი რუსული კლასიკური დრამატურგიის, კერძოდ, გოგოლის უკვდავი „რევიზორის“ გავლენის ქვეშ იმყოფება. ეს უმთავრესად შეეხება დრამატიულ ხერხს. თვით მოქმედ პირთა ჩვევებისა და ხასიათების მოხაზვაში კი პრისტლი შორს დგას გოგოლის ფართო სამყაროდან. მაშინ, როდესაც „რევიზორის“ მოქმედი პირები რუსეთის სინამდვილის ცოცხალ ტიპებს წარმოადგენენ, პრისტლის ინსპექტორი და, შეიძლება სხვა მოქმედი პირნიც, ერთგვარი სიმბოლოების ხასიათს იღებენ. ინსპექტორი გული ჩვენ შეგვიძლია მივიღოთ როგორც სიმბოლო საზოგადოებრივი სინიდისისა, არტურ ბერლინგი, როგორც სიმბოლო მორალურად დაცემული ბურჟუისა, ევა სმიტი, როგორც სიმბოლო მშრომელი ხალხისა.

პიესის სიუჟეტი გონებამახვილურად და ძალდაუტანებლად ვითარდება. ამბავი ხდება პირველი მსოფლიო იმპერიალისტური ომის წინ. ქარხნის პატრონის არტურ ბერლინგის ოჯახში ქალიშვილის ნიშნობის გამო ზეიმია. აქ შეიტყობენ, რომ მუშა ქალს ევა სმიტს თავი მოუწამლავს. ოთახი სასამართლოს დარბაზის სახეს იღებს. ევა და ადამ სმიტების წარმომადგენლად, საზოგადოების პროგრესული ნაწილის წარმომადგენლად გამოდის ინსპექტორი გული და იწყებს გამოძიებას. დაკითხვის საშუალებით ინსპექტორი ნიღაბს ხდის ბერლინგის ოჯახის თვითეულ წევრს, დღის სინათლეზე გამოაქვს მათი ზნეობრივი სიცალიერე და დაცემულობა. ინსპექტორი თავდაჭერილ მსაჯულად გვევლინება, არკვევს, რომ ევა სმიტის დაღუპვაში წილი მთელს ოჯახს მიუძღვის.

საქმე გამოირკვა. ამას დასჭირდა ორი აქტი. თითქოს აქ უნდა დასრულებულიყო პიესა. მაყურებელი დაძაბვით მოელის მესამე მოქმედებას, ცნობისმოყვარეობა იპყრობს, სურს გაიგოს, რა მსვლელობა შეეძლო კიდევ მიეღო უკვე გამომჟღავნებულ ამბავს. ავტორი ახალ, უფრო მძაფრ სიტუაციებს მიმართავს. ირკვევა, რომ ნიღაბი კიდევ არ ყოფილა საბოლოოდ ჩამოხსნილი. საჭიროა ბერლინგების სრული მორალური განიარაღება და ამას კიდევაც აღწევს ავტორი თვით ოჯახში შეტანილი შეშფოთების, უთანხმოების საშუალებით.

პიესა დაწერილია ცხოვრების კარგი ცოდნით, რეალისტური ხედვით, თუმცა უნდა ითქვას, რომ მთავარი გმირი ინსპექტორი გული, როგორც სიმბოლო საზოგადოებრივი სინიდისისა, ერთგვარ მისტიკურ იერს ატარებს.

პიესის ერთ-ერთი მოქმედი პირია ევა სმიტი, რომელიც მართალია სცენაზე არ გამოდის, მაგრამ წამყვან როლს ასრულებს დრამატიული კვანძის გაშლასა და გამოაშკარავებაში. მისი სახით განზოგადებულად წარმოდგენილია ინგლისის მუშათა კლასი. ის აძლევს მთელ სპექტაკლს დრამატიულ ძალას, ჰქმნის კონფლიქტს და მწვავე სცენიურ სიტუაციებს.

დამდგმელის ს. ჭელიძის ძნელი ამოცანა იყო აეგო სპექტაკლი იმრიგად, რომ მაყურებელს ეგრძნო სოციალური დრამის ძალა, ეგრძნო ის სოციალური უსამართლობა, რომელსაც ბერლინგის ოჯახი განასახიერებს, ეგრძნო ევა სმიტის — ამ უხილავი გმირის ბედუკუღმართობა, ურთიერთობა მასსა და ბერლინგებს შორის და აქედან შესაფერი დასკვნა გამოეტანა. სპექტაკლს უნდა მიეღო სასტიკი მხილების ძალა და პათოსი. ამას იგი კიდევაც აღწევს. ამაშია სპექტაკლის შემეცნებითი მნიშვნელობა, რომ არაფერი ვთქვათ იმ დიდ შთაბეჭდილებაზე, რასაც პიესა ახდენს მაყურებელზე თავისი შესრულებით, იშვიათი ოსტატობით გაშლილი სიუჟეტით და სადა, მაგრამ ტევადი დიალოგებით.

დადგმის თავისებურება ისაა, რომ მასში უარყოფილია მუსიკალური ინტერპრეტაცია. დროულია დაისვას საკითხი: საჭიროა თუ არა ყველგან და ყოველთვის იყოს გამოყენებული სპექტაკლში გაშლილი მოვლენების მუსიკალური ინტერპრეტაცია? განსაკუთრებულ მოწონებას იმსახურებს ყოველი აქტის დასკვნითი სტატიკური მიზანსცენები.

მხატვრის ფანტაზიას საერთოდ პრისტლის პიესაში დიდი გასაქანი არ ეძლევა, ვინაიდან მოქმედება თითქმის ყოველთვის უცვლელ ნივთიერ გარემოცვაში მიმდინარეობს. ამ სპექტაკლშიც მხატვარ კ. სანაძეს ერთი უცვლელი დეკორაციული გაფორმება აქვს მოცემული. ეს არის ინგლისელი ბურჟუის ოთახი, ბურჟუისა, რომელიც დაბალი წრიდანაა გამოსული.

პიესის შინაარსის, მისი დედააზრის გამომმჟღავნებელია ინსპექტორი გული. სპექტაკლის წარმატება დამოკიდებულია ამ როლის განსახიერებაზე. გულის საპასუხისმგებლო ცენტრალურ როლს აკაკი ვასაძის სახით იშვიათი შემსრულებელი ჰყავს. მსახიობს მონახული აქვს ფორმა, რომელიც შესანიშნავად შეესატყვისება მთელი სპექტაკლის ლაკონიურ, პლასტიკურ სტილს. აღსანიშნავია, რომ მსახიობს გრიმიც კი არა აქვს თითქოს გაკეთებული, სახის იშვიათი მეტყველებით შლის მდიდარ შინაგან ბუნებას ადამიანისას, რომელსაც იგი განასახიერებს. მისი ჟესტი მეტად მოჭრილია, სიტყვა ძუნწი, იშვიათ თავდაჭერილობასა და სულიერ წონასწორობას, გონების გამჭრიახობას იჩენს დამნაშავეთა დღის სინათლეზე გამოყვანისას. იგი, როგორც საზოგადოებრივი აზრის წარმომადგენელი, აუღელვებლად, გრძნობის შეკავებით ატარებს დაკითხვას და იშვიათად თუ მიმართავს ზედმეტ სიტყვას, გარეგნულ ჟესტს. დიდ სოციალურ პათოსს მსახიობი გასაქანს აძლევს მხოლოდ მას შემდეგ, როცა საქმეს გამოამჟღავნებს და ბერლინგის ოჯახს შესაფერ განაჩენსაც გამოუტანს. ეს არის საბოლოო სცენა. აქ დაეტყობა მის ხმას მღელვარება, ჟესტს მოუსვენრობა. მამხილებელი სიტყვის შემდეგ იგი ადგილიდან ერთბაშად წამოიჭრება და სწრაფი ნაბიჯით მიაშურებს კარებს. მთელი სამი აქტის განმავლობაში მსახიობს მტკიცედ უჭირავს აუდიტორია ხელში და არ აძლევს ყურადღების ოდნავ შენელების საშუალებას.

ჩვეულებრივი ოსტატობით ასრულებს არტურ ბერლინგის როლს დიმიტრი მჟავია. იგი არც ამ სპექტაკლში ღალატობს მისთვის დამახასიათებელ რეალისტურ მანერას მხატვრული სახის მოხაზვისას, ხაზს უსვამს ისეთ ნიუანსებს, რომლებიც ხელს უწყობენ გმირის ცოცხალი სახით წარმოდგენას მაყურებლის წინაშე.

არ შეიძლება კმაყოფილებით არ აღინიშნოს თეატრის კოლექტივში ორი ახალი ძალის შემოქმედებითი წინსვლა. მხედველობაში გვყავს შეილას შემსრულებელი თ. თეთრაძე და ჯერალდ კროფტის განმსახიერებელი გ. გეგეჭკორი.

შეილა პიესაში შედარებით ნათელი სახეა. ის გრძნობს თავის დანაშაულს და მზადაა გამოისყიდოს იგი. მაყურებელს სჯერა, რომ შეილა აღარ დაუბრუნდება ბურჟუაზიულ ჭაობს. მსახიობი გულწრფელობითა და უშუალობით ასრულებს თავის როლს. ამაში მას ხელს უწყობს კარგი სცენიური მონაცემები.

იგივე შეიძლება ითქვას გ. გეგეჭკორზე, რომელსაც სწორად აქვს მოფიქრებული და დამუშავებული როლი. მსახიობი კარგად გრძნობს სცენას, სიტყვას და მასალას. მან იცის თავის დაჭერა სცენაზე და ზომიერების დაცვა. გეგეჭკორის ჯერალდ კროფტი თუმცა ახალგაზრდაა, მაგრამ საკმაოდ ნიჭიერი და მოქნილი წარმომადგენელია თავისი კლასისა.

მოსაწონი არიან თ. თუშიშვილი და ვ. კვაჭაძე, მეტადრე პირველი, რომელიც სიბილას დასამახსოვრებელ და მხატვრულად დამაჯერებელ სახეს ჰქმნის.

პიესა „ინსპექტორი მოვიდა“ დაწერილია ნამდვილი ოსტატის ხელით. მის დადგმას ჩვენს სცენაზე გარკვეული შემეცნებითი ღირებულება აქვს, ამას გარდა, იგი ხელს შეუწყობს ჩვენი მაყურებლის ესთეტიკური კულტურისა და გემოვნების ზრდას.

პიესის კარგი თარგმანი ეკუთვნის ს. კლდიაშვილს.

შალვა აფხაიძე

კომუნისტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთავარ გერმანელ სამხედრო დამნაშავეთა პროცესი ნიურნბერგში

29 მარტის დილის სხდომა

ნიურნბერგი, 29 მარტი. (საქდესი). 29 მარტის დილის სხდომის დასაწყისში ბრალდებულ რიბენტროპის დაკითხვის წინ თავმჯდომარე აცხადებს ტრიბუნალის გადაწყვეტილებას, რომელშიც აღნიშნულია, რომ ბრალდებულ გერინგის დაკითხვის დროს ტრიბუნალმა, თანახმად გერინგის განცხადებისა, რომ იგი მეორე კაცი იყო გერმანიაში, ნება დართო მას მიეცა ვრცელი ჩვენება და ბრალდებულმა თავის პასუხებში დახასიათა ნაცისტური რეჟიმის მთელი ისტორია. პროცესის ამ სტადიაზე ტრიბუნალი, როგორც თავმჯდომარე აცხადებს, არ აპირებს ნება დართოს ბრალდებულთ მისცენ მსგავსი ჩვენება და ისინი თავიანთ პასუხებში მხოლოდ იმას უნდა დასჯერდნენ, რაც მათს საკუთარ დაცვას შეეხება.

ბრალდებულ რიბენტროპის დაკითხვას იწყებს დამცველი ჰორნი. მას აინტერესებს, ცდილობდა თუ არა ბრალდებული ელაპარაკნა ჰიტლერთან ინგლისისა და საფრანგეთის პოლიტიკის შესახებ ნაცისტების მიერ ძალაუფლების ხელში ჩაგდებისთანავე და რით გამოიხატა რაღაც მისწრაფება რიბენტროპისა მიეღწია იმისათვის, რომ ჰიტლერს ურთიერთგაგება დაემყარებინა საფრანგეთთან 1935 წელს.

ბრალდებული იწყებს ფრიად ვრცელ პასუხს. თავმჯდომარე წინადადებას აძლევს დამცველს უფრო კონკრეტული ფორმით აწარმოოს დაკითხვა.

ამ შენიშვნის შემდეგ დამცველი ბრალდებულს აძლევს მისახვედრებელ შეკითხვას მისი საქმიანობის შესახებ განიარაღების დარგში და სთხოვს უპასუხოს, თუ მან, რიბენტროპმა, რას მიაღწია შეიარაღების შეზღუდვის საქმეში სხვა ქვეყნებთან თანამშრომლობისას. თავის პასუხში ბრალდებული რიბენტროპი ყოვლმხრივ ცდილობს ისე დასახოს საქმე, თითქოს იგი ისწრაფვოდა განიარაღებისაკენ და შეიარაღების შეზღუდვისაკენ.

შემდეგ ბრალდებული ლაყბობს ინგლისში თავისი, როგორც ელჩის, საქმიანობის თემაზე.

— როგორ მოხდა,—ეკითხება დამცველი ჰორნი,—რომ თქვენ ელჩად ყოფნის დროს ეგრეთწოდებული ანტიკომინტერნული პაქტი დასდეთ იაპონიასთან.

ბრალდებულის ჩვენება ცხადჰყოფს, რომ სწორედ მან შესთავაზა ჰიტლერს „ანტიკომინტერნული პაქტის" პროექტი, რომ ჰიტლერმა მოიწონა ეს პაქტი, ხოლო შემდეგ ბრალდებულ რიბენტროპს დაავალა ამ პაქტის დადება.

გუშინ და გუშინწინ, განაგრძობს თავის ჩვენებას ბრალდებული, ტრიბუნალის სხდომებზე დაისვა საკითხი, ნამდვილი ნაციონალ-სოციალისტი ვიყავი მე თუ არა.

ბრალდებული თვითონ უპასუხებს თავის კითხვაზე და აღიარებს, რომ იგი ნებაყოფლობით შეუერთდა ჰიტლერს, მაგრამ თითქოს „ნაკლებად" მუშაობდა რასიულ „თეორიაზე", არ იყო ანტისემიტი, ყოველთვის არ ესმოდა რელიგიის საკითხები.

იძლევა რა ჩვენებას იმ ამოცანების შესახებ, რომლებიც ჰიტლერმა საგარეო საქმეთა სამინისტროს დაუსახა, ბრალდებული აცხადებს, რომ ჰიტლერი თავდაპირველად აყენებდა ოთხ ძირითად პრობლემას, რომლებიც უნდა გადაჭრილიყო. ამ პრობლემებს ეკუთვნოდა ავსტრიის საკითხი, შემდეგ სუდეტის ოლქის, მემელის, დანციგის და დანციგის კორიდორის საკითხი. ჰიტლერი ხაზგასმით აღნიშნავდა, აჩვენებს ბრალდებული, რომ ამ პრობლემების გადაწყვეტა მხოლოდ მაშინ შეიძლება, თუ ძლიერი შეიარაღებული ძალები გვეყოლებაო. ბრალდებული აღიარებს, რომ იგი ისწრაფვოდა დახმარებოდა ჰიტლერს მის მიერ დასახული ამოცანების შესრულებაში და იმასაც კი ამბობს, რომ თითქოს გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტრო მხოლოდ იმისათვის არსებობდა, რათა რეგისტრაციაში გაეტარებინა ჰიტლერის დავალებანი.

სასამართლოში ამომწურავი სისრულით დამტკიცდა, რომ რიბენტროპი და მისი ხელქვეითნი „დიპლომატიური საიდუმლოს" საფარველქვეშ ხანგრძლივ ძირგამომთხრელ მუშაობას ეწეოდნენ, ამზადებდნენ რა ავსტრიის ყაჩაღურ დაპყრობას. ეს მომზადება წარმოადგენდა შანტაჟისა და მკვლელობის განუწყვეტელ წყებას. რიბენტროპი ამ ყაჩაღურ აქტს ეწოდებს გერმანიასა და ავსტრიას შორის „კავშირის გაძლიერებას".

ასევე სახავს რიბენტროპი გერმანელების მიერ ჩეხოსლოვაკიის ყაჩაღურ დაპყრობასაც. რიბენტროპის ჩვენებას რომ მივყვეთ, ჰიტლერული გერმანია მხოლოდ იმიტომ შეიჭრა ჩეხოსლოვაკიაში, რომ წესრიგი დაემყარებინა იქ.

ბრალდებულ რიბენტროპის შემდგომი დაკითხვა გადატანილია საღამოს სხდომაზე.

29 მარტის საღამოს სხდომა

ნიურნბერგი, 29 მარტი. (საქდესი). ტრიბუნალის საღამოს სხდომის დასაწყისშივე თავმჯდომარე ლორდ ლოურენსი მიუთითებს დამცველს, რომ ბრალდებული რიბენტროპი ძალიან ბევრს ლაპარაკობს მის მიერ დადებულ შეთანხმებათა დეტალებზე, მაშინ როცა მან უნდა ილაპარაკოს ამ შეთანხმებათა დარღვევის შესახებ, რაც გერმანიამ და პირადად მან ჩაიდინეს. ამ გაფრთხილების მიუხედავად, ბრალდებული განაგრძობს ფრიად ვრცლად მოყოლას ისეთი რამეების შესახებ, რასაც სრულიად არაფერი აქვს საერთო ამ პროცესთან.

ბრალდებული გულმოდგინედ იმართლებს თავს და კიდევ უფრო გულმოდგინედ სტყუის, როცა იწყებს ჩეხოსლოვაკიის დაპყრობის ისტორიის მოყოლას. გერინგის მსგავსად, იგი სასაცილოდ ამტკიცებს, თითქოს გერმანიის ჯარებმა ჩეხოსლოვაკია დაიკავეს და დამოუკიდებლობა წაართვეს მას თვითონ ჩეხებისა და სლოვაკების დაჟინებითი სურვილის მიხედვით. ამ მიზნით ბრალდებულს ჩეხი და სლოვაკი ხალხების ცნობილი გამცემლები ტისო, ტუკა, ჩახი და ხვალკოვსკი ყალბად გამოჰყავს ამ ხალხების ნებასურვილის გამომხატველებად.

ბრალდებულის ამ და სხვა ასეთმა ლაყბობამ გამოიწვია თავმჯდომარის ჩარევა, რომელმაც ერთხელ კიდევ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ბრალდებულის მთელ ნაამბობს პროცესთან არავითარი დამოკიდებულება არა აქვს.

საღამოს სხდომა იხურება იმით, რომ თავმჯდომარე მორიგ გაფრთხილებას აძლევს დამცველსა და ბრალდებულს, რომლებიც ფრიად დაწვრილებით ასწერენ ყველასათვის ცნობილი ფაქტების დეტალებს. თავმჯდომარე აღნიშნავს, რომ ტრიბუნალმა მოთმინებით მოისმინა ბრალდებულის ვრცელი გამოსვლები. თავმჯდომარის აზრით, მოვლენათა ასეთი გადმოცემა არ აუმჯობესებს დაცვის მიერ საქმის წარმოდგენას.

30 მარტის დილის სხდომა

ნიურნბერგი, 30 მარტი. (საქდესი). დღეს ტრიბუნალის დილის სხდომაზე გრძელდებოდა ბრალდებულ რიბენტროპის დაკითხვა მისი დამცველის ჰორნის მიერ. დამცველის შეკითხვაზე გერმანიისათვის მემელის ოლქის შეერთების მიზეზთა შესახებ, ბრალდებული ცდილობს დაამტკიცოს, თითქოს ეს ოლქი „ოდინდელი გერმანული მიწა იყო".

ლაპარაკობს რა პოლონეთზე გერმანიის თავდასხმის შესახებ, ბრალდებული რიბენტროპი ამტკიცებს, თითქოს გერმანია ყველაფერს აკეთებდა, რაც კი მასზე დამოკიდებული იყო, კონფლიქტის თავიდან ასაცდენად, ასევე ასურათებს ბრალდებული ჰიტლერული აგრესიის სხვა აქტებსაც.

ბელგიასა და ჰოლანდიაზე და სხვა ქვეყნებზე თავდასხმის გარემოებათა შესახებ ჩვენებაში რიბენტროპს მოჰყავს ყალბი ჰიტლერული პროპაგანდის საყოველთაოდ ცნობილი „არგუმენტები". ლაპარაკობს რა საფრანგეთის დამარცხების შემდეგ საფრანგეთისადმი დამოკიდებულების შესახებ, ბრალდებული ძალიან ვრცლად იძლევა ჩვენებას თავისი მისწრაფების შესახებ მჭიდრო თანამშრომლობა და სრული ურთიერთგაგება დაემყარებინა ვიშის მთავრობასთან. ჰიტლერის დამოკიდებულებას საფრანგეთის ვიშის მთავრობის მეთაურ პეტენისადმი ბრალდებული რიბენტროპი განსაზღვრავს როგორც უაღრესად კეთილსასურველს.

უპასუხა რა შეკითხვაზე მისი პირადი გამდიდრების შესახებ, ბრალდებულმა რიბენტროპმა განაცხადა:

ამას წინათ ბრალდების ინგლისელი წარმომადგენელი ამტკიცებდა აქ, რომ წინათ მე ერთი სახლი მქონდა, შემდეგ კი ექვსი გამიხდა. პირველი სახლი მე ავაგე ბერლინში 1922-23 წლებში, მაშინვე ვიყიდე რამდენიმე მიწის ნაკვეთი. 1934 წელს მემკვიდრეობად მივიღე მამული ზონენბურგი ბერლინის ახლოს, რაც შეეხება დანარჩენ უძრავ ქონებას, სახელდობრ ზალცბურგის ახლო მდებარე სასახლეს, სანადირო სავარგულებსა და სახლებს სუდეტის ოლქში, აგრეთვე სლოვაკიაში, უძრავ ქონებას რაინის ოლქში, რიბენტროპი აცხადებს, რომ ეს ქონება მან „შრომით" შეიძინა ან და საჩუქრად მიიღო ჰიტლერისაგან.

რიბენტროპის შემდგომი დაკითხვა და მისი საქმის გამო დოკუმენტების წარდგენა გადაიდო 1 აპრილისათვის.

ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ყრილობა

პრაღა, 30 მარტი. (საქდესი). როგორც პრაღის რადიო იუწყება, გუშინ ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის მე-8 ყრილობის დილის სხდომაზე სიტყვა წარმოსთქვა პარტიის თავმჯდომარემ გოტვალდმა. თავის სიტყვაში მან შეაფასა ღონისძიებანი ჩეხოსლოვაკიის რეკონსტრუქციის საქმეში და კომუნისტური პარტიის პოლიტიკაში და დასახა პარტიის ძირითადი ამოცანები უახლოესი დროისათვის.

ილაპარაკა რა წმენდის შესახებ, გოტვალდმა განაცხადა: ჩვენში მოიპოვებიან ისეთი გულკეთილი ადამიანები, რომლებიც გაკვირვებას გამოსთქვამენ ჩვენი გაფრთხილების გამო რეაქციის შესახებ. ჩვენ მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ რეაქცია დამარცხებულია, მაგრამ საბოლოოდ განადგურებული არ არის. საჭიროა, რომ ჩვენი მიღწევები განმტკიცებულ იქნას ახალი კონსტიტუციით. ჩვენ აღთქმა არ მიგვიცია ხალხისათვის, რომ განთავისუფლებისთანავე სამოთხე შეიქმნება დედამიწაზე. ჩვენ ყველას მოვუწოდებდით თავდადებული მუშაობისაკენ, ვინაიდან ვიცოდით, თუ რა ძლიერ შეარყიეს გერმანელებმა ჩვენი მეურნეობის საფუძვლები. ამჟამად წარმოება, ნედლეულის ნაკლებობის მიუხედავად, ეწყობა. თუ რაიმე მოულოდნელი არ მოხდა, შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი მდგომარეობა თანდათან გაუმჯობესდება. სოფლის მეურნეობის დარგში ჩვენ ვეცდებით მივაღწიოთ მიწათმოქმედების მექანიზაციას და შევუმსუბუქოთ მძიმე შრომა ჩვენს გლეხებს. ჩვენ ყოველ ღონისძიებას ვიხმართ ფასების შესამცირებლად, რასაც მოჰყვება სყიდვითი უნარის ზრდა.

ყრილობამ მიიღო რესპუბლიკის პრეზიდენტის პასუხი მისასალმებელ დეპეშაზე, რომელიც მას ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის მე-8 ყრილობის პრეზიდიუმმა გაუგზავნა. დეპეშაში ნათქვამია: გულწრფელ მადლობას გიხდით მისასალმებელი დეპეშისათვის, რომელიც თქვენ გამომიგზავნეთ, როგორც განთავისუფლებული რესპუბლიკის წარმომადგენელს. ვერ დავფარავ, რომ ეს ძალიან სასიამოვნო იყო ჩემთვის. კმაყოფილებით გავეცანი ფაშიზმთან და ნაციზმთან ჩემი უკომპრომისო ბრძოლის შეფასებას თქვენ მიერ. ეს ბრძოლა ჩემთვის, როგორც ჭეშმარიტი დემოკრატისათვის, თავისთავად იგულისხმებოდა. და თუ დემოკრატთაგან ვინმეს არ ესმოდა ან არ ესმის ეს ბრძოლა, იგი დემოკრატი არ არის. სამწუხაროდ, ჩვენშიც იყვნენ ისეთი დემოკრატები რომელთაც არ სურდათ გაეგოთ, თუ რა არის ფაშიზმი, რა იყო იგი, რა არის და რად დარჩება სამუდამოდ. თქვენ სწორად შეაფასეთ საერთაშორისო და პოლიტიკური სიტუაცია, რაც შექმნეს წინანდელმა ბელადებმა, რომელნიც თავიანთი ინტერესებისათვის მოქმედებდნენ. იმ საფრთხესთან დაკავშირებით, რომელიც მაშინ ემუქრებოდა რესპუბლიკასა და ხალხს, თქვენ მხარი დაუჭირეთ ეროვნულ ერთიანობას და დღემდე მხარს უჭერთ ამ ერთიანობის გაძლიერებას ჭეშმარიტად დემოკრატიულ ჩეხოსლოვაკურ ბანაკში. თქვენს დეპეშაში მოხსენებული გაქვთ ამბები, რომელთა დროსაც ჩვენ ერთ გზას ვადექით მე ჩვენი ეროვნული ერთიანობა ჩვენი რევოლუციის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან მიღწევად მიმაჩნია. მომავალში მსურს თქვენთან ერთად ვიდგე ამ ერთიანობის სადარაჯოზე, რათა უზრუნველვყოთ რესპუბლიკის მშვიდობიანი განვითარება, ჩვენი ხალხისა და თვითეული ცალკეული მისი ღირსეული წარმომადგენლის ნორმალური ცხოვრება. გმადლობთ თქვენი მისალმებისათვის და ყოველგვარ წარმატებას ვუსურვებ თქვენს ყრილობას

სხდომის დასასრულს გამოვიდა დელეგატი შვერმოვა, რომელიც შეჩერდა პარტიის საორგანიზაციო ამოცანებზე.

ბელგიის ახალი მთავრობა

პარიზი, 31 მარტი. (საქდესი). ფრანს პრესის სააგენტო გადმოგვცემს, რომ ბელგიაში შედგენილია ახალი მთავრობა პრემიერ-მინისტრ ვან აკერის (სოციალისტი) მეთაურობით. საგარეო საქმეთა მინისტრისა და საგარეო ვაჭრობის მინისტრის პოსტი მიენდო სპააკს (სოციალისტი).

გარდა ამისა, მთავრობის შემადგენლობაში შევიდნენ ხუთი ლიბერალი, ოთხი კომუნისტი ოთხი სოციალისტი და სამი უპარტიო.

ამერიკელი კორესპონდენტები საბერძნეთში არსებული მდგომარეობის შესახებ

ნიუ-იორკი, 26 მარტი. (საქდესი). (მიღებულია დაგვიანებით). საბერძნეთში მყოფი ზოგიერთი ამერიკელი კორესპონდენტი აკრიტიკებს ინგლისის ჩარევას და აღნიშნავს, რომ მომავალი არჩევნები წარმომადგენლობითი არ იქნება, თუ მონაწილეობას არ მიიღებს საბერძნეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ფრონტი (ეამი). კორესპონდენტები აღნიშნავენ, რომ მონარქისტებსა და სხვა რეაქციულ ჯგუფებს ტერორქვეშ ჰყავთ ხალხი.

„ოვერსის ნიუსის" სააგენტოს ათენელი კორესპონდენტი პულოსი, რომელმაც ამასწინათ იმოგზაურა თესალიაში, პელოპონესსა და ეპირში, იუწყება, რომ ამ პროვინციებში „მთავრობის მოხელეები აშინებენ ხალხს, „იუნრრას" მიერ მიწოდებულ საქონელს ანაწილებენ პოლიტიკურ მოსაზრებათა გათვალისწინებით, ხოლო ჟანდარმერია ფარულად მონაწილეობს მონარქისტული ტერორისტული ბანდების საქმიანობაში", რათა აღმოფხვრას ხალხის მისწრაფება დემოკრატიისადმი. პულოსი აღნიშნავს, რომ თავისუფალი და პატიოსანი არჩევნების ჩატარება 31 მარტს შეუძლებელია იმის გამო, რომ „გაბატონებულია მონარქისტების ტერორი. პელოპონესის პროვინციაში ჟანდარმერიის სათავეში უდგანან ოკუპაციის დროს დანიშნული ოფიცრები, რომლებიც ტერორისტებთან თანამშრომლობენ დემოკრატიული ელემენტების წინააღმდეგ. ეს ჟანდარმერია საშუალებას აძლევს მონარქისტებს რეპრესიები განახორციელონ ხალხის წინააღმდეგ". პულოსი ეყრდნობა ერთი ოფიციალური პირის განცხადებას და იუწყება, რომ მთავრობის მოხელეები ნებას აძლევენ მონარქისტულ ბანდებს აშკარად გასწიონ მონარქისტული საქმიანობა, მაშინ როცა პროგრესული ელემენტები იძულებული არიან კერძო სახლებში ფარულად შეიკრიბონ, ვინაიდან მათ რეპრესიებისა ეშინიათ. ამერიკელმა ოფიცერმა, რომელიც მეთვალყურეობას გაუწევს მომავალ არჩევნებს ჩრდილოეთ პროვინციებში, განაცხადა, რომ ტერორისტების შეიარაღებული ბანდები ჟანდარმერიის აქტიური დახმარებით აშინებენ მონარქისტების წინააღმდეგ განწყობილ ადამიანებს.

კორესპონდენტის სიტყვით, „იუნრრას" წარმომადგენელი ქალაქ იანინაში ეპირის პროვინციის გენერალ-გუბერნატორს ბრალად სდებს, რომ იგი „იუნრრას" მიწოდებულ საქონელს იყენებს პოლიტიკური მოსაზრებების გათვალისწინებით. გენერალ-გუბერნატორი არღვევს დაწესებულ რაციონირებას და ნებას რთავს, რომ ტანსაცმელი აძლიონ მის მომხრეებს. მან შექმნა სურსათის შეღავათიანი განაწილების სისტემა. გენერალ-გუბერნატორმა აღიარა, რომ იგი აყოვნებს სურსათის განაწილებას იმ რაიონებში, რომლებიც მთავრობის წინააღმდეგ ილაშქრებენ. ამასწინათ ათენს 300 კაცი ჩავიდა, რათა თავი გადაერჩინათ თავდასხმათაგან ევბეის რაიონში. როგორც პულოსი აღნიშნავს, მონარქისტული ბანდები იყენებენ იარაღს, რომელიც ჩააბარა ელასმა (ეროვნულ-განმათავისუფლებელი ფრონტის სამხედრო ორგანიზაციამ).

პულოსი მკვეთრად აკრიტიკებს ინგლისელთა მოქმედებას საბერძნეთში.

აღნიშნავს რა, რომ ეამი ხალხის ხმას წარმოადგენს საბერძნეთში და ელასი წინააღმდეგობის მოძრაობის წარმომადგენელია, გაზეთ „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნის" კორესპონდენტი იუწყება, რომ ამერიკელმა მეთვალყურეებმა საბერძნეთში მიიღეს ოფიციალური ინფორმაცია, რომელიც შეეხება ამ ქვეყანაში მომხდარ ამბებს. ეს ინფორმაცია ადასტურებს, რომ „ეამი და მისი არმია ელასი ყველაზე დიდ ორგანიზაციას" შეადგენენ საბერძნეთში. უეჭველია, წინააღმდეგობის არცერთ სხვა ორგანიზაციას ოკუპაციის პერიოდში ისეთი როლი არ შეუსრულებია ჰიტლერელთა წინააღმდეგ დივერსიული აქტების განხორციელების საქმეში, მტრის კომუნიკაციათა მოსპობაში და გერმანიის იმ ჯარების საერთო შებოჭვაში, რომლებიც შეიძლებოდა გამოეყენებინათ სხვა ადგილებში". კორესპონდენტი სარკასტულად აცხადებს: „საერთოდ აღიარებული გმირული საქციელისათვის რომ დაეჯილდოებინათ ეამი, ინგლისის ჯარები შევიდნენ მოკავშირის ტერიტორიაზე და შეუდგნენ სახალხო მოძრაობის სისტემატურად გამოშიგნვას". შემდეგ კორესპონდენტი სწერს: „ინგლისის პოლიციის მისიებით გაივსო საბერძნეთი. ეს მისიები ეწევიან პოლიციური ძალების მომზადებას, რომელთა მიზანიც არის როგორც მოქმედებით, ისე უმოქმედობით დაიცვან მემარჯვენე ელემენტები. ინგლისის მისიები ასწავლიდნენ საბერძნეთის ჯარებს, რომლებიც ამჟამად განლაგებული არიან მთელ საბერძნეთში. მაგრამ ეს ჯარები ეფექტიანი არ არიან და, როგორც ჩანს, მათ იმისათვის იყენებენ, რომ ხელი შეუწყონ ინგლისის პოლიტიკის გატარებას". კომუნისტური, სოციალისტური და საბერძნეთის სხვა პროგრესული ორგანიზაციები ამჟამად გაერთიანდნენ მემარჯვენე ელემენტებისა და მონარქისტებისადმი ოპოზიციაში და წარმოადგენენ „მძლავრ ფრონტს თავდაცვისათვის. მათ ღრმად აქვთ შეგნებული თავიანთი პასუხისმგებლობა". კორესპონდენტი აკრიტიკებს საბერძნეთის მთავრობას იმისათვის, რომ იგი არ აპატიმრებს კოლაბორაციონისტებს. კორესპონდენტი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ თუმცა საბერძნეთი განთავისუფლებულ იქნა ჯერ კიდევ 18 თვის წინათ, მაგრამ ანტიჰიტლერულ ელემენტებს ბრალად სდებენ პროჰიტლერული „მცველი ბატალიონების" წევრთა დახოცვას და აპატიმრებენ.

იუნაიტედ პრესის სააგენტოს მიმომხილველ კიმლის აზრით, „არჩევნები საბერძნეთში განწირულია როგორც „დემოკრატიის" გამოცდა. არის იმის ნიშნები, რომ კენჭისყრა არ იქნება ხალხის ნებასურვილის ნამდვილი გამოხატულება". კიმლი აღნიშნავს, რომ ეამის და სხვა პროგრესული ჯგუფების წარმომადგენელთა მტკიცებით ამომრჩეველთა სიები სწორი არ არის; ამ სიებში შეტანილია ომში დაღუპული ათასობით ადამიანი და მრავალი სხვა არარსებული პირი.

მძლავრი დემონსტრაცია ათენში ყალბი არჩევნების წინააღმდეგ

ათენი, 30 მარტი. (საქდესი). დღეს ათენის ცენტრში თეატრ „ბრიტანიაში" არჩევნების მამხილებელი სიტყვა წარმოსთქვა საგარეო საქმეთა ყოფილმა მინისტრმა სოფიანოპულოსმა. ათასობით ადამიანმა, რომელნიც ცდილობდნენ თეატრში მოხვედრას, გაავსო ახლომახლო ქუჩები. სტიქიურად გაიმართა მიტინგი, რომელიც სოფიანოპულოსის სიტყვის დამთავრების შემდეგ მძლავრ დემონსტრაციად გადაიქცა. დემონსტრანტები გაემართნენ ქუჩაზე შეძახილებით: „დემოკრატებო, ნუ მისცემთ ხმას!", „გაუმარჯოს ეამს!" ომონიის მოედანზე დემონსტრანტებზე იერიში მიიტანა პოლიციამ. პოლიციელთა გაქანებული მანქანები შეიჭრნენ ხალხში და 400 პოლიციელმა ხელკეტით სცემა მამაკაცებს, ქალებს, მოხუცებს. ხალხი პოლიციელებს შეხვდა ყვირილით: „გრცხვენოდეთ, ფაშიზმის დაქირავებულნო!", „გრცხვენოდეთ, ევერტის ძაღლებო!" (ევერტი ათენის პოლიციის უფროსია).

დემონსტრანტები მხოლოდ მას შემდეგ დაიშალნენ, რაც პოლიციამ სროლა აუტეხა მათ. ერთ-ერთი დემონსტრანტი მოკლულია, რამდენიმე დაიჭრა და ასობით ნაცემია.

სოფულისის განცხადება პრეს-კონფერენციაზე ათენში

ათენი, 29 მარტი. (საქდესი). უპასუხა რა უცხოელი ჟურნალისტების შეკითხვებზე, პრემიერ-მინისტრმა სოფულისმა ერთხელ კიდევ გაიმეორა, რომ ამჟამად არ არსებობს ისეთი პირობები, რომლებიც შესაძლებელს გახდიან, რომ არჩევნების შედეგები უდავოდ ჩაითვალოს, და რომ მისი პარტია მონაწილეობას იღებს ამ არჩევნებში, რათა უბრძოლველად არ დანებდეს. მან შესაძლოდ არ ჩასთვალა უარეყო საარჩევნო სიების სიყალბე და აღნიშნა, რომ ყველა, ვინც კი 1936 წლიდან მოკიდებული გარდაიცვალა, ირიცხება საარჩევნო სიებში.

უპასუხა რა შეკითხვაზე—მთავრობამ რატომ არ მოუღო ბოლო შეიარაღებული პოლიტიკური ორგანიზაციების ტერორს, პრემიერმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეს ამოცანა განსაკუთრებით ძნელია, ვინაიდან ტერორისტების მხარეზე არიან პოლიცია და ჟანდარმერია, რომლებიც დიქტატურისა და ოკუპაციის პერიოდში შეიქმნენ და გამსჭვალული არიან ანტიხალხური ფაშისტური განწყობილებით. მთავრობას, სთქვა მან, კიდევ ორი თვე დასჭირდებოდა იმისათვის, რომ ელემენტარული პირობები შეექმნა თავისუფალი არჩევნების მოსაწყობად. ამასთან პრემიერმა დასძინა, რომ მისი სიტყვები ისე არ უნდა იქნას გაგებული, რომ მას სურს არჩევნების გადადება. „მთავრობა შეგნებული აქვს თავისი ვალდებულება მოკავშირეთა წინაშე. არჩევნები უბრალოდ საბერძნეთის საკითხი როდია, ისინი გამოწვეულია საერთაშორისო ხასიათის ახალი საერთო აუცილებლობით" და ამიტომ მათი გადადება ერთი საათითაც არ შეიძლება.

შეკითხვაზე, თუ რა საერთაშორისო ვალდებულებანი აიძულებენ მთავრობას მოახდინოს ისეთი არჩევნები, რის სინამდვილეც თვით მას არა სწამს, პრემიერმა პასუხის გაცემა არ მოისურვა. „არჩევნების შემდეგი პერიოდი,—სთქვა სოფულისმა,—შიშს იწვევს ჩვენში. საქმე ის არის, რომ უკიდურესი მემარჯვენეები არჩევნებში გამარჯვების შემდეგ აპირებენ დაუყოვნებლივ მოახდინონ პლებისციტი და დააბრუნონ მეფე. დემოკრატები, რომელნიც უეჭველად ხალხის უმრავლესობას შეადგენენ, მტკიცედ გაილაშქრებენ ამის წინააღმდეგ და გასაგებია, თუ რაც მოჰყვება ამას".

სოფულისმა დაადასტურა, რომ მეტაქსასის მთავრობის შინაგან საქმეთა მინისტრმა მანიადაკისმა ითხოვა საბერძნეთში დაბრუნების ნებართვა და მისი გადმოსვლის ხარჯების ანაზღაურებაც კი. სოფულისმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მანიადაკისის რწმენა, რომ იგი მალე საჭირო იქნება საბერძნეთში, მნიშვნელოვან სიმპტომს წარმოადგენს.

სოფულისის გადადგომა

ლონდონი, 1 აპრილი. (საქდესი). როგორც რეიტერის სააგენტო ათენიდან იუწყება, საბერძნეთის პრემიერ-მინისტრმა სოფულისმა დღეს დილით რეგენტს გადასცა განცხადება გადადგომის შესახებ.

რეგენტმა სთხოვა მას დარჩეს თავის პოსტზე მანამდე, სანამ ახალი მთავრობა შესდგებოდეს.

რეგენტს განზრახვა აქვს ხვალ მონარქისტული „სახალხო" პარტიის აღმასრულებელ კომიტეტთან დაიწყოს საკითხის განხილვა ახალი მთავრობის შედგენის შესახებ.

„არჩევნები" საბერძნეთში

ათენი, 31 მარტი. (საქდესი). დღეს საბერძნეთში ტარდება არჩევნები. საბერძნეთის ყველა დემოკრატიული პარტია და ორგანიზაცია, მათ შორის პროფკავშირთა გენერალური ფედერაცია ბოიკოტს უცხადებს არჩევნებს იმის გამო, რომ არჩევნები ტარდება ისეთ პირობებში, რომლებიც არ უზრუნველჰყოფენ ბერძენი ხალხის თავისუფალი ნების გამოხატვას.

რეაქციის ღონისძიებანი მიმართულია იმისაკენ, რომ შანტაჟისა და მუქარის მეთოდებით აიძულოს ამომრჩევლები მონაწილეობა მიიღონ კენჭისყრაში.

არსებული ცნობებით, სახელმწიფო და კერძო დაწესებულებათა და საწარმოთა მუშა-მოსამსახურეებს დათხოვნით ემუქრებიან, თუ მათ უარი სთქვეს არჩევნებში მონაწილეობაზე.

ბერნი, 31 მარტი. (საქდესი). შვეიცარიის რადიო იუწყება, რომ დღეს, არჩევნების დღეს, სალონიკში დიდი მღელვარება და შეტაკებები ხდებოდა.

ლონდონი, 31 მარტი. (საქდესი) რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ დღეს ათენის ერთ-ერთ გარეუბანში დააპატიმრეს 5 კაცი, რომლებიც მოუწოდებდნენ—უარი სთქვით არჩევნებში მონაწილეობაზეო.

ლონდონის რადიო გადმოგვცემს, რომ დღეს შუადღისათვის ათენის მდიდარ უბნებში ხმა მისცა ამომრჩეველთა 50 პროცენტმა, ხოლო მუშათა უბნებში ხმის მიცემა „ძალიან არათანაბრად" მიმდინარეობდა.

ბრიტანეთის რადიომაუწყებელი კორპორაციის კორესპონდენტი მეტიუსი იუწყება, რომ ათენის ერთ-ერთ საქარხნო რაიონში, სადაც იგი იმყოფებოდა, დილის 10 საათისა და 30 წუთისათვის 797 ამომრჩევლიდან ხმა მისცა მხოლოდ 80 კაცმა. ეკლესია, სადაც საარჩევნო უბანია, ცარიელი იყო.

ლონდონი, 31 მარტი. (საქდესი). ლონდონის რადიოს ცნობაში საბერძნეთში არჩევნების შესახებ ნათქვამია, რომ საარჩევნო უბნებს იცავენ ბერძენი ჯარისკაცები და ჟანდარმები, იმ დროს, როცა ბრიტანეთის ნაწილები თავიანთ ადგილზე იმყოფებიან და სავსებით მზად არიან იმ შემთხვევისათვის, თუ მათი გამოყენება საჭირო გახდა.

ათენი, 1 აპრილი. (საქდესი). გუშინ საბერძნეთში განსაკუთრებული ტერორის პირობებში ჩატარდა პარლამენტის არჩევნები. „წესრიგის" დასაცავად მობილიზებული იყო მთელი პოლიცია და ეროვნული გვარდია. გაძლიერებული მოტორიზებული პატრულები მთელ დღეს დაიარებოდნენ ათენის და პირეის ქუჩებში, განსაკუთრებით მუშათა გარეუბნებში. ათენსა და პირეიშიც კი იყო ყუთებთან ამომრჩეველთა ძალად მიყვანის ბევრი შემთხვევა. იმ პირთა შორის, რომლებიც ბოიკოტს უცხადებენ არჩევნებს, მოხდა დაპატიმრებანი. პროვინციებიდან მიღებული ნაწყვეტ-ნაწყვეტი ცნობებით, იქ ხდებოდა შეტაკებანი შეიარაღებულ მონარქისტთა ბანდებსა და ბოიკოტის მომხრეთა შორის.

ოფიციალური დაპირება ამის შესახებ, რომ ხმის მიმცემი თითს ჩააწებდა მოუშორებელ სალებავში იმისათვის, რომ გამორიცხული ყოფილიყო ორჯერ და ბევრჯერ ხმის მიცემა, შესრულებული არ ყოფილა. ხოლო, როგორც ცნობილია, როდესაც კანონი საარჩევნო სიების შემოწმების შესახებ დამტკიცებულ არ იქნა, ოფიციალური პირები აცხადებდნენ, რომ მოუშორებელი სალებავის ხმარება ზედმეტს ხდის შემოწმებასო.

ზოგიერთ რაიონში ხმის მიცემა განგრძობილ იქნა სამი საათით. კერძოდ, ისეთ ადგილებშიც კი, როგორიც კალამატაა, მონარქისტთა ბანდების დამახასიათებელი თარეშის ადგილებში, ამომრჩეველთა სამმა მეოთხედმა ბოიკოტი გამოუცხადა არჩევნებს. მონარქისტულ-ფაშისტური ორგანიზაციის მეთაურ ზერვასის დასაყრდენ პუნქტში — ქალაქ იანინაში — ხმა არ მიუცია ამომრჩეველთა 60 პროცენტს, ტრიპოლისში, რომელიც მონარქისტთა ბურჯად ითვლება, არჩევნებს ბოიკოტი გამოუცხადა ამომრჩეველთა ნახევარმა. მართალია, არსებული კანონით ნებადართულია არჩევნების ასეთი განგრძობა, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც ვადის გასვლის შემდეგ საარჩევნო უბანში არის ხმის მიცემის მსურველი ბევრი ამომრჩეველი. ფაქტიურად კი, ყოველ შემთხვევაში ათენში, ხმის მიცემის ვადა განგრძობილ იქნა იმ რაიონებში, სადაც არჩევნების ბოიკოტეთა დიდი პროცენტი იყო და სადაც საერთოდ რიგები არ ყოფილა საარჩევნო უბნებში.

მაგრამ, მიუხედავად ტერორისა და არჩევნების გაყალბებისა, ათენში, არასრული ცნობებით, არჩევნებს ბოიკოტი გამოუცხადა 30 პროცენტზე მეტმა, პირეიში—40-მდე პროცენტმა, ბევრ ქალაქში (ლარისაში, ვოლოსში და სხვ.) ბოიკოტმა 75 პროცენტს მიაღწია. ზოგიერთ დასახლებულ პუნქტში ხმის მიმცემთა რაოდენობა, როგორც ჩანს, 10-15 პროცენტს არ აღემატება.

არჩევნების შეფასებისას მხედველობაში უნდა იქნას მიღებული, რომ ახლანდელი ვითარების დროს საბერძნეთში ხმის მიცემისათვის თავის არიდება რაიმე მიზეზით, გარდა პოლიტიკური მიზეზისა, სრულიად წარმოუდგენელია. მემარჯვენეებმა წინასწარ გამოაცხადეს, რომ ხმის მიცემისათვის ყველა თავისარიდებელი „საშიშ კომუნისტად" ჩაითვლება. დოკუმენტი, რომელსაც არა აქვს შტამპი ხმის მიცემის შესახებ, იქცევა მგლის ბილეთად, მოწმობად არაკეთილსაიმედოობის შესახებ და ის ადამიანები, რომლებმაც ბოიკოტი გაბედეს, საფრთხეში აგდებენ არა მარტო თავის სამუშაოს, არამედ ზოგიერთ შემთხვევაში სიცოცხლესაც. გასაკვირველი არ იქნება, თუ ამგვარ არჩევნებში მონარქისტები უმრავლესობას უზრუნველჰყოფენ თავისთვის პარლამენტში. მონარქისტებს, ყველა ცნობის მიხედვით, მოჰყვება ეგრეთწოდებული „ეროვნული კავშირი" — პაპანდრეუს, ვენიზელოსისა და კანელოპულოსის პარტიების ბლოკი, მათ შემდეგ — სოფულისის ლიბერალური პარტია. ხიტოსებმა (მონარქისტული ფაშისტური ორგანიზაციის „X" წევრები) სრული დამარცხება განიცადეს.

გერმანიაში აღმოჩენილია ფარული ჰიტლერული ორგანიზაცია

ლონდონი, 31 მარტი. (საქდესი). ლონდონის რადიო გადმოგვცემს, რომ ინგლისისა და ამერიკის სამხედრო ადმინისტრაციები გერმანიაში დღეს იუწყებიან, რომ აღმოჩენილია ფართოდ განშტოებული ქსელი ფარული ორგანიზაციისა, რომელიც ემყარებოდა ჰიტლერული ახალგაზრდობის ყოფილი კავშირისა და გერმანელ ქალიშვილთა კავშირის წევრებს. ორგანიზაცია მიზნად ისახავდა ჰიტლერიზმის აღორძინებას. სამხედრო ხელისუფლების ცნობა გამოქვეყნდა საბოლოო ჩხრეკა-დაპატიმრების შემდეგ, რომელშიც მონაწილეობა მიიღო მოკავშირეთა ჯარების 7 ათასმა ჯარისკაცმა, ჩხრეკა-დაპატიმრება დაიწყო წუხელ შუაღამისას. დაპატიმრებულია რამდენიმე ასეული კაცი. ორგანიზაციის მეთაურები იყვნენ აქსმანი, შირახის შემცვლელი ახალგაზრდობის საიმპერიო ხელმძღვანელის პოსტზე, მენინგენი ჰიტლერული ახალგაზრდობის პრესისა და პროპაგანდის განყოფილების ყოფილი უფროსი, და სხვები.

ოფიციალურად გამოირკვა, რომ ორგანიზაცია საბოტაჟს ეწეოდა და მოაწყო ფარული ძალადობის მთელი რიგი აქტები. ფარული ორგანიზაციის წევრთა პირველი დაპატიმრება მოხდა ამ წლის დამდეგს.

ლექცია

3 აპრილს საქართველოს მხატვართა კლუბში, საღამოს 8 საათზე, შესდგება სპორტის დამსახურებული ოსტატის კ. აბალაკოვის ლექცია თემაზე: „ასვლა სტალინის პიკზე" (უმაღლესი მწვერვალი საბჭოთა კავშირში — 7.495 მეტრი ზღვის დონიდან).

დასწრება თავისუფალია.

3 აპრილს, საღამოს 7 საათზე, მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის თბილისის ფილიალში შესდგება მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების ლექტორთა სემინარის მორიგი მეცადინეობა. დოცენტი თავხელიძე წაიკითხავს შესავალ ლექციას თემაზე: „ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ბრძოლა ამხანაგ სტალინის მეთაურობით რსდმპ III ყრილობის მოწვევისათვის".

მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების ლექტორთა დასწრება სავალდებულოა.

თეატრებში

სახელმწიფო ოპერა—2/IV—„აბესალომ და ეთერი", 3/IV—„ტრავიატა". **რუსთაველის სახელობის**—2/IV—„ხევისბერი გოჩა", 3/IV—„საპატარძლო აფიშით". **მარჯანიშვილის სახელობის**—2/IV—„დავით აღმაშენებელი", 3/IV—„შესაფერი ჯილდო". **გრიბოედოვის სახელობის**—2, 3/IV—„განათლების ნაყოფი". **სომხური**—2/IV—„სომეხი ქალი". **ახუნდოვის სახელობის**—2/IV—„მაშდი იბად". **თოჯინების ქართული**—3/VI—„ალადინის ჯადოსნური ლამპარი" (დასაწყისი დილის 11½ ს. და დღის 3 ს.). **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — 2,3/IV—„ნაცარქექია".

კინოებში

2 აპრილს: რუსთაველის სახელობის—„ზიგმუნდ კოლოსოვსკი". ოქტომბერი—„სპილოები პატარა მწყემსი". დამკვრელი—„არშინ მალ ალან". კომკავშირელი და სპარტაკი—„დავით გურამიშვილი". ლუქსემბურგის სახელობის —„სილვა". 26 კომისრის სახელობის—„შვეიკის ახალი თავგადასავალი", მეცნიერება და ცოდნა—„იაპონიის განადგურება".

პასუხისმგებელი რედაქტორი
გ. ნანიტაშვილი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი აცხადებს, რომ ა. წ. 11 აპრილს, დღის 2½ საათზე, სამედიცინო ინსტიტუტის აუდიტორიაში (მელიქიშვილის ქ. № 16) შესდგება ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომა, რომელზეც მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად ექიმი **გალაკტიონ ნესტორის-ძე გოგლიჩიძე** დაიცავს დისერტაციას თემაზე: **„სისხლის მიტოგენეზური გამოსხივების მნიშვნელობა საშვილოსნოს კიბოს დიაგნოზისათვის".**

ოფიციალურ ოპონენტებად დანიშნული არიან მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, საპატიო აკადემიკოსი **ვ. ვორონინი** და მედიცინის მეცნიერების დოქტორი პროფესორი **ლ. ელიაშვილი.**

მსურველთ შეუძლიათ გაეცნონ შრომას სამედიცინო ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში (მელიქიშვილის ქ. № 16) დილის 9-დან საღამოს 10 საათამდე. **დირექცია**

6 აპრილს, საღამოს 7 საათზე, სახელმწიფო კონსერვატორიის მცირე დარბაზში (გრიბოედოვის ქ. № 8) შესდგება საქართველოს სს რესპუბლიკის შემნახველ სალაროებში შეტანილი მომგებიანი ანაბრების მეშვიდე ტირაჟი.

ტირაჟში მონაწილეობას მიიღებს მეანაბრეთა ყველა ანგარიში, რომელზეც 1946 წლის 1 აპრილისათვის ირიცხება მომგებიანი ანაბრების ნაშთი.

ტირაჟზე შესვლა მოსაწვევი ბარათებით.

საქართველოს სსრ სახელმწიფო შრომის შემნახველი სალაროების და სახკრედიტის სამმართველო.

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი აცხადებს, რომ ისტორიისა და ფილოსოფიის ფაკულტეტების გაერთიანებული სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე ა. წ. 10 აპრილს, დღის 1 საათზე, აუდიტორია № 86 (მთავარი შენობა, მარის ქ. № 1) **შ. ნ. ადამია** ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დაიცავს დისერტაციას თემაზე: **«Борьба Маркса и Энгельса против прусского пути воссоединения Германии».**

ოფიციალური ოპონენტები: მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე პროფესორი **გ. ი. ნათაძე**, მეცნიერების კანდიდატი დოცენტი **ე. ბურჯულაძე**.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

საქართველოს სს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსთან არსებული კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმეთა კომიტეტის ცენტრალური სალექციო ბიურო იღებს ქალაქ თბილისის სახელმწიფო, კოოპერატიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების, დაწესებულებებისა და საწარმოებისაგან იმის განაცხადს, რომ 1946 წელს მათთან ჩატარდეს **მასობრივი სამეცნიერო საგანმანათლებლო** ლექციები მეცნიერების, ტექნიკისა და კულტურის სხვადასხვა საკითხებზე.

ლექციების ჩატარებაზე ხელშეკრულებათა დადება და განაცხადების მიღება სწარმოებს ცენტრალურ სალექციო ბიუროში: დავითაშვილის ქუჩა № 1, ტელეფონი 3-55-22. იქვე შეიძლება სალექციო ბიუროს თემების, ლექტორთა შემადგენლობისა და ლექციების ჩატარების სხვა პირობების გაცნობა.

საქართველოს სს რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში სამეცნიერო-საგანმანათლებლო ლექციების ჩატარებაზე განაცხადს იღებენ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებთან არსებულ კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის განყოფილებათა სალექციო ბიუროები.

ცენტრალური სალექციო ბიურო

მოქალაქე **ვაღარშაკ ტოროსის-ძე კოცოიანმა**, მცხოვრებმა ბახვის შესახვევი № 4, აღძრა საქმე ნორიოს ქ. № 11 მცხოვრებ მოქალაქე **ანა ვართანის-ასულ ვართანიანთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის მოლოტოვის რაიონის მე-3 უბნის სახალხო სასამართლო.

მოქალაქე **ვასილ ივანეს-ძე კაპოვმა**, მცხოვრებმა მიასნიკოვის ქ. № 109 აღძრა საქმე იქვე მცხოვრებ მოქალაქე **ნინო გრიგოლის-ასულ დრონოვთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის კიროვის რაიონის მე-3 უბნის სახალხო სასამართლო.

ამხანაგების ჯგუფი იუწყება **შალვა ბესარიონის-ძე ჭიჭინაძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 2, 3/IV, 7 ს. გამოსვენება 4/IV, 5½ ს. ბოკვაძის, 14.

ოჯახი იუწყება შალვა იაგორის-ძე შავლაყაძის გარდაცვალებას.

ციკო და ვალიკო ბრეგაძეები ოჯახებით იუწყებიან დედის ელისაბედ ივანეს-ასულ **ბრეგაძის** გარდაცვალებას. გამოსვენება 2/IV, 5 ს. კობის, 21.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა № 28 ტელეფონები: პასუხისმგებელი რედაქტორის—3.08.67, სამდივნოსი—3.06.48, განყოფილებებისა: პროპაგანდის—3.82.05, პარტიული ცხოვრებისა და საბჭოთა მშენებლობის—3.81.54, ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელისა და მშრომელთა წერილების—3.73.24, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო-სატრანსპორტო—3.80.83, კულტურის, ყოფაცხოვრებისა და ინფორმაციის—3.80.84, მორიგისა და გამომშვებისა—3.81.65, გამომცემლობის—3.51.81, სტამბის დირექტორის—3.77.70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28.

ტირაჟი 110,000.

უე 00043